დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნა შპს ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ხათუნა საგანელიძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

დიანა მჭედლიშვილი -კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო

ლელა იოსავა-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართვლო

ქეთევან კანკავა - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

ბრძ.1052

თბილისი

2019

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	**400157904**
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ბათუმი, დ.აღმაშენებლის ქ.13
ვებ-გვერდი	www.imu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწეწსებულების ავტორიაზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა ავტორიზაცია სტუდენტთა მიღების 3 წლის ვადი შეზღუდვით
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	19.03.2019 N14
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	19.03.2025

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	
ბაკალავრიატი	1
მაგისტრატურა	
ერთსაფეხურიანი	2
დოქტორანტურა	
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	
ქართულ ენაში მომზადების	
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა			
ბაკალავრიატი			
მაგისტრატურა			
ერთსაფეხურიანი			
დოქტორანტურა			

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3^{48} პუნქტში

მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)			
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა			
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა			
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა			

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	
- პროფესორი	
- ასოცირებული პროფესორი	
- ასისტენტ პროფესორი	
- ასისტენტი	
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	
- მეცნიერი	
- პოსტდოქტორანტი	
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	
- აფილირებული პროფესორი	
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	
- აფილირებული ასისტენტი	
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	

ვერ მოხერხდა უსდ-ს აკადემიური და მოწვეული პერონალის რეალური რაოდენობის იდენტიფიცირება

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1180
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 13-14 ნოემბერს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან იყო თანამშრომლობა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის დროს, რიგ შემთხვევებში იყო ემოციური ფონი და საჭირო გახდა სიტუაციის განმუხტვა. საერთო ჯამში ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულად.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიაზაციის საბჭოს 19.03.2019 გადაწყვეტილებით რეკომენდაციები ეხებოდა ყველა სტანდარტს, თუმცა შეზღუდვის გადაწყვეტილება აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებულ ინქა მე-3 და მე-6 სტანდარტების საფუძველზე. აღნიშნულ სტანდარტებთან დაკავშირებულ დოკუმენტაციის შეფასებისას და გასაუბრებების საფუძველზე გამოვლინდა რიგი გარემოებები, რის გამოც გახდა საჭირო ყველა სტანდარტის შეფასება. კერძოდ აკადემიურმა პერსონალმა არ დაადასტურა აკადემიურ თანამდებობეზე ყოფნა და შრომითი ხელშეკრულებების არსებობა, ასევე სხვადასხვა დოკუმენტში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია იყო შეუსაბამო.

ამ გარემოების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან საჭირო გახდა ადმინისტრაციისგან დამატებითი დოკუმენტაციის და მტკიცებულების წარმოდგენის მოთხოვნა. დაწესებულების მხრიდან დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა გაჭიანურდა მიზეზით რომ მონიტორინგის დროს ექსპერტების მიერ მხოლოდ რეკომენდაციების მიხედვით უნდა მომხდარიყო შეფასება და უნივერსიტეტი მზად არ იყო დამატებით საბუთების დროულად მოწოდებისთვის. შედეგად მოთხოვნილი დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნა არასრულად.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: _____13-14.11.2019_____

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	**აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:**
გადახედეთ მისიის ფორმულირებას, რათა იგი გახდეს უფრო ექსპლიციტური	საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტმა (სსსუ) 13.09.2019 წელს შეიცვალა სახელწოდება და ეწოდა „შპს „ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტი“ (სასწავლო უნივერსიტეტის შემოკლებული სახელწოდებაა – შპს „ბსუ“, ინგლისურად - “BTU” LLC), ასევე შეიცვალა მისია,

	რომელიც ფორმულირდა გასაგებად და ითვალისწინებს საქართველოს და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს.
დააზუსტეთ სამოქმედო გეგმაში ქვე-მიზნები და აქტივობები	სამოქმედო გეგმაში გაწერილია ქვემიზნები და აქტივობები, თუმცა დაწესებულებამ სამოქმედო გეგმაში პრიორიტეტად უნდა განსაზღვროს უმოკლეს ვადაში სტრატეგიულ განვითარებაში ასახული სუსტი მხარეების აღმოფხვრა, რომელიც საფრთხეს უქმნის უსდ-ს სტანდართებთან შესაბამის ფუნქციონირებას. ასევე აუცილებელია სტრატეგიული განვითარების მიხედვით სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის წარმოება და დღემდე შეუსრულებელი საკითხების ანალიზი. გეგმაში გაწერილი ბიუჯეტი არ ემთხვევა ბიზნეს გეგმაში მითითებულ ბიუჯეტს
განსაზღვრეთ თითოეული მიზნისათვის ერთი პასუხისმგებელი პირი (თუნდაც მიზნის მიღწევა ითვალისწინებდეს თანამშრომლობას ან დელეგირებას).	თითოეული მიზნისთვის გაწერილია პასუხისმგებელი სტრუქტურა/სამსახური.
შეიმუშავეთ ღია და გამჭვირვალე დანიშვნა/არჩევის პროცედურები ყველა პოზიციისთვის	რეკომენდაცია ისევ აქტუალურია და მიუხედავად იმისა რომ არსებობს რიგი მარეგულირებელი დოკუმენტები, რეალობა ბუნდოვანია.
განავითარეთ ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდოლოგიები და ინსტრუმენტები დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის საფუძველზე	ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდოლოგიები და ინსტრუმენტები განვითარებულია, მაგრამ პროცესი ისევ ცენტრალიზებულია, ზემოდან იმართება და არ ითვალისწინებს მთლიანი ხარისხის კულტურის დანერგვას და განვითარების ხელშეწყობას.
შეიმუშავეთ შესაბამისი, სანდო და განხორციელებადი მეთოდოლოგია სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მიზნით	შემუშავებულია სტრატეგია, თუმცა დაინტერესებულ მხარეებმა არ იციან როგორ მოხდა სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვა და რას მოიცავს მეთოდოლოგია
უზრუნველყავით ეთიკის კოდექსის ფართოდ გავრცელება და ხელმისაწვდომობა	ეთიკის კოდექსი განთავსებულია უსდ-ს ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის
განსაზღვრეთ და ჩამოაყალიბეთ "ინტერესთა კონფლიქტის" ცნება	სასწავლო უნივერსიტეტმა იმუშავა აღნიშნული რეკომენდაციების გამოსწორებაზე, კერძოდ, „ინტერესთა კონფლიქტის“ შესახებ გაიწერა უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის მე- 5 მუხლში;
მოიძიეთ ინტელექტუალური საკუთრების მითვისებისა და პლაგიატის გამოვლენის ტექნოლოგიური საშუალებები, ნაცვლად ადამიანურ ფაქტორზე დაყრდნობისა	მოძიებულ იქნა ინტელექტუალური საკუთრების მითვისებისა და პლაგიატის გამოვლენის ტექნოლოგიური საშუალება; პლაგიატის თავიდან არიდების მიზნით, დაწესებულებამ გააფრომა ხელშეკრულება ეროვნულ ბიბლიოთეკასთან,
პერსონალისათვის ნათელი უნდა იყოს ეთიკასა და აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული პრინციპები და უნდა ხდებოდეს პერსონალის მიერ ამ პრინციპების გათვალისწინება ყოველდღიურ აკადემიურ	აკადემიური და მოწვეული პერსონალი იზიარებს ეთიკისა და აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული პრინციპებს

საქმიანობაში და ასევე, სტუდენტთა აკადემიურ ნაშრომებთან მიმართებით	
უზრუნველყავით საგანმანათლებლო პროგრამების დეტალური გაცნობა აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის	აკადემიური და მოწვეული პერსონალი ადასტურებს, რომ ესწრებოდნენ სამუშაო შეხვედრებს, თუმცა არასრულად იცნობენ სილაბუსებში ასახულ შედეგების შეფასების სტრუქტურას, კრედიტ-საათების გადანაწილების
გააუმჯობესეთ თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და უზრუნველყავით მათი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაში	სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გადაგმულია გარკვეული ნაბიჯები დამსაქმებლების ჩართულობის კუთხით
განიხილეთ პროგრამები და შესაბამისი სილაბუსები უნივერსიტეტის აფილირებულ და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობით	გასაუბრებისას აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა დაადასტურა საგანმანათლებლო პროგრამის განხილვასთან დაკავშირებული შეხვედრებზე დასწრება და პროგრამის და სილაბუსების შინაარსობრივად გაცნობა, თუმცა შეფასების სისტემის შესახებ ინფორმაციას ყველა არ ფლობდა და საკუთარი პრაქტიკიდან ვერსიებს სთავაზობდნენ უსდ-ს. გასაუბრებისას მოწვეულმა და აკადემიურმა პერსონალმა ასევე აღნიშნა, რომ „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის შემუშავებისას არ იყო გათვალისწინებული აღნიშნული დარგის საერთაშორისო დირექტივა ან რაიმე სხვა, თუნდაც უცხოური უნივერსიტეტის გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მიერ გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით, ექპერტთა ჯგუფის მიერ ჩაითვალა, რომ წინა რეკომენდაციით გაცემული საკითხები რჩება გასაუმჯობესებელი.
უზრუნველყავით პროგრამები შესაბამისი სამედიცინო სასწავლო ლიტერატურით	სასწავლო ლიტერატურა დამატებულია სილაბუსების შესაბამისად, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ლიტერატურა, რომელიც იქნა ნანახი ბიბლიოთეკაში წარმოადგენს წიგნების შავ-თეთრ ასლებს, ფერადი ყდით, რაც ბადებს მათი წარმომავლობის შესახებ კითხვებს.
შეაფასეთ სწავლის შედეგები და შეიმუშავეთ კლინიკური პრაქტიკის შეფასების მეთოდები საბოლოო გამოცდისთვის	ექსპერტთა ჯგუფის წინა რეკომენდაციის საფუძველზე სილაბუსებში სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მოდიფიცირებულია და შეტანილია კლინიკური პრაქტიკის შეფასების კომპონენტები
შეიმუშავეთ აკადემიური პერსონალის მართვის ანალოგიური პროცესები ადმინისტრაციული პერსონალისათვის	რეკომენდაციის შესრულების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტმა განახორციელა რიგი ცვლილებები შიდა საუნივერსიტეტო დოკუმენტებში და გაიწერა მართვის პროცესები ადმინისტრაციული პერსონალისთვის. თუმცა ვიზიტის დროს გამოკვეთა პერონალთან დაკავშირებული სხვა გარემოებები, რაც ასახულია რეკომნდაციებში.
განავითარეთ კვლევით საქმიანობაში აკადემიური პერსონალის ჩართვის პირობები და შესაბამისი პროცესები	კველვით საქმიანობაში აკადემიური პერსონალის ჩართვის პირობები და შესაბამისი პროცესები რეგულირდება უნივერისტეტის მიერ შესაბამისი

	დოკუმენტაციით, თუმცა აკადემიური პერსონალი ფრაგმენტულად ფლობს ამის შესახებ ინფორმაციას.
უზრუნველყავით ყველა დოკუმენტის საჯაროდ ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე	ნაწილობრივ შესრულებულია, დოკუმენტების ნაწილი (თუმცა, არა ყველა) ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე. არცერთი დოკუმენტი არ არის ხელმისაწვდომი ინგლისურ ენაზე.
განახორციელეთ ყველა რეგულაცია (სტუდენტის სტატუსის მინიჭება, შეჩერება და შეწყვეტა, მობილობა, კვალიფიკაციის მინიჭება და განათლების აღიარება) გამჭვირვალედ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად	პროცედურები გაწერილია დოკუმენტებში, თუმცა მათი ეფექტური შესრულების შესაძლებლობის დადასტურება ვერ მოხერხდა ერთი მხრივ იმის გამო, რომ უნივერსიტეტს სტუდენტები არ ჰყავს და აღნიშნული პროცედურები არ განხორციელებულა და მეორე მხრივ იმის გამო, რომ აღნიშნული პასუხისმგებლობები დელეგირებული არ არის და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი ერთეულის (სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის) რესურსი არ არის საკმარისი მისი ყველა ვალდებულების შესასრულებლად.
ჩაატარეთ სტუდენტთა გამოკითხვები და გამოიყენეთ გამოკითხვის შედეგები შიდა ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით	რეკომენდაცია შესრულებულია იმ კუთხით, რომ წარმოდგენილია მომავალი სტუდენტებისთვის განკუთვნილი კითხვარები, რისი მეშვეობითაც უნივერსიტეტი გეგმავს შიდა ხარისიხის გაუმჯობესებას.
განახორციელეთ სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისები	ამ ეტაპზე არ არის შესრულებული. მრავალფეროვანი საკონსულტაციო სერვისები აღწერილია დოკუმენტაციაში, თუმცა მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით მათი ინფორმირებულობა არ დასტურდება. ამასთანავე, არსებული ადამიანური რესურსით რთული იქნება დაგეგმილი მრავალფეროვანი საკონსულტაციო სერვისების ყველა სტუდენტისათვის უზრუნველყოფა.
ყურადღება მიაქციეთ დასაქმების მაჩვენებელს, აკადემიურ განვითარებასა და მინიჭებულ კვალიფიკაციებს	უწყვეტი განათლების სამსახური მზადაა დებულებით გაწერილი აქტივობების შესასრულებლად, თუმცა თავად ამ სამსახურის თანამშრომლები სრულფასოვნად არ იცნობენ საუნივერსიტეტო სივრცეში მოქმედი პროგრამების დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციების დეტალებს და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესაძლებლობებს.
ჩართეთ უნივერსიტეტის დეპარტამენტები სტუდენტთა მიერ ინიცირებული პროექტებისა და კლასგარეშე აქტივობების განხორციელებაში	ამ ეტაპზე არ არის შესრულებული. სტუდენტების მიერ ინიცირებული პროექტებისა და კლასგარეშე აქტივობების განხორციელებაში დეპარტამენტების ჩართვის მექანიზმი არაფორმალურია. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი სტუდენტთა ინიციატივების სხვა დეპარტამენტებისათვის გადაცემას თავის ვალდებულებად მიიჩნევს, თუმცა პროცედურა დოკუმენტებში დეტალურად აღწერილი არ არის.
მოამზადეთ დეტალური და თანმიმდევრული მიდგომა კვლევით აქტივობებთან მიმართებით, რომელიც შესაბამისობაში იქნება უნივერსიტეტის მისიასთან და	კვლევითი აქტივობები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და ხედვასთან. უნივერსიტეტს გააჩნია სტრატეგია კვლევით საქმიანობასთან მიმართებაში, თუმცა

ხედვასთან	განხორციელებული აქტივობები ემპირიულ ხასიათს ატარებდა, საჭიროა თანდმომდევრული მიდგომა კვლევით აქტივობასთან მიმართებაში.
განსაზღვრეთ უნივერსიტეტის კვლევის ფოკუსი და პრიორიტეტები	უსდ-ს მიერ განსაზღვრულია კვლევითი პრიორიტეტები.
მოახდინეთ ფოკუსირება კვლევით აქტივობებზე; ასევე, საჭიროა ფაკულტეტის განვითარების ფარგლებში უზრუნველყოთ კვლევის ხელმძღვანელებისა და კვლევითი ნაშრომების შეფასებაში ჩართულ პირთა მომზადება და მენტორობა	უსდ-ს მიერ განხორციელებულია კვლევითი აქტივობები (სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება, სამეცნიერო ჟურნალის დაარსება). დაგეგმილია აკადემიური პერსონალის ტრენინგები.
დაარსეთ და განავითარეთ კვლევითი ლაბორატორიები სტუდენტებისთვის	უსდ-ს მიერ დაარსებულია ლაბორატორიები, სადაც იგეგმება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება.
უზრუნველყავით, რომ ყველა კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს კვლევითი აქტივობები	საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილია კვლევითი კომპონენტები.
უზრუნველყავით კვლევის შედეგების ინტეგრირება სწავლების პროცესში	უსდ-ს გააჩნია კვლევის შედეგების ინტეგრირების სტრატეგია სასწავლო პროცესში.
დაამყარეთ ახალი თანამშრომლობა კვლევით ინსტიტუტებთან და სხვა უნივერსიტეტებთან	უსდ-ს მიერ გაფორმებულია სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობის მემორენდუმები უცხოურ დაწესებულებებთან.
დაარსეთ კვლევების დამხმარე ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს კვლევითი ინიციატივების დაფინანსებას, სამართლიანი და გამჭვირვალე გზით	უსდ-ს მიერ დაარსდა კვლევითი ლაბორატორიები, სადაც იგეგმება სამეცნიერო-კვლევითი საქმინობის წარმართვა.
მოიძიეთ გარე პარტნიორები (ადგილობრივი და საერთაშორისო) გარე დაფინანსების მოპოვების მიზნით (მაგ. ჰორიზონტი 2020 (Horizon 2020)) კვლევით სფეროში დამკვიდრებისთვის	უსდ-ს მიერ გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები სასწავლო და სამეცნიერო თანამშრომლობის კუთხით.
გაზარდეთ კვლევითი აქტივობების მხარდამჭერი ღონისძიებები აკადემიური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით	კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად განხორციელებულია რიგი ღონისძიებები, რაც დადასტურდა გასაუბრებებით და გამოცმული სამეცნიერო ჟურნალით, ასევე ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციით.
შეიმუშავეთ სტრატეგიული მიდგომა აკადემიური პერსონალისთვის კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული მიზნობრივი დაფინანსებისა და რესურსების გამოყოფის მიზნით	რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია, რაც გამოიხატება კვლევითი პრიორიტეტების დასახვით, თუმცა დაფინანსების და რესურსების საკითხი ამ ეტაპზე ღიად რჩება.
მოამზადეთ მკვლევარები საკვლევი კითხვის ფორმულირების, მეთოდოლოგიის განსაზღვრისა და მონაცემთან ანალიზის მიმართულებით	რეკომენდაცია ამ ეტაპზე შესრულბული არ არის, იგეგმება ტრენინგების ჩატარება ამ მიმართულებით.
შეიმუშავეთ კვლევის განვითარების თანმიმდევრული სტრატეგია და შეფასების მექანიზმები	სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „შპს ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დაფინანსების კონკურსის პირობები და ჩატარების წესი“, სადაც განსაზღვრულია შეფასების მექანიზმები.
შეიმუშავეთ სტრატეგიული მიდგომა კვლევის დაფინანსებასთან მიმართებით კვლევითი საკითხებისა და არსებულ რესურსების გათვალისწინებით	სტრატეგიული მიდგომა კვლევის დაფინანსებასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე ბუნდოვანია, საჭირეობს დახვეწას.

შეიმუშავეთ კვლევითი პროექტის შეფასების წესი	უსდ-ს მიერ შემუშავებულია მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს კვლევითი პროექტის შეფასების წესს.
უზრუნველყავით ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება და ტრენინგი კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით	ჩატარებულია აკადემიური პერსონალის ტრენინგები, რაც დაადასტურა აკადემიურმა პერსონალმა გასაუბრებისას.
უნივერსიტეტმა უნდა დასახოს პრიორიტეტები კვლევაში მისი სტრატეგიისა და ინსტიტუციური პოლიტიკის შესაბამისად - ეს შესაძლებელია გაკეთდეს სხვა უნივერსიტეტების პრაქტიკის გაზიარების გზით	უსდ-ს მიერ დასახულია კვლევითი პრიორიტეტები.
გააფართოვეთ საბიბლიოთეკო სივრცე	საბიბლიოთეკო სივრცე გაზრდილია დაახლოებით 20 კვ/მ-ით.
გააკეთეთ შენობის ორივე სართულზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სპეციალურად ადაპტირებული სანიტარული კვანძები	რეკომენდაცია შესრულებულია, ორივე სველი წერტილი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.
გაზარდეთ ფინანსური დახმარება ბიბლიოთეკისთვის, რათა ხელი შეუწყოთ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარებას დაწესებულებაში	ბიბლიოთეკის ფინანსური დახმარების გაზრდა წარმოდგენილი ბიუჯეტით ვერ დადასტურდა.
შეიძინეთ წიგნების უახლესი გამოცემები, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად	შეძენილია გარკვეული რაოდენობა სასწავლო ლიტერატურის, ძირითადად წიგნების ქსერო-ასლები და „პირატული“ ელ.წიგნები (თითო წიგნის ფასი სტანდარტულად 30 ლარი).
ჩაატარეთ კვლევები სტუდენტთა საჭიროებების გამოსავლენად საბიბლიოთეკო რესურსებთან დაკავშირებით	საბიბლიოთეკო რესურსთან დაკავშირებით კვლევა სტუდენტების არ არსებობის გამო ვერ ჩატარდა.
განავითარეთ IT ინფრასტრუქტურა სრულად, გეგმის შესაბამისად	გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, კერძოდ დაიგეგმა ახალი პროგრამების ახალ პლატფორმაზე შექმნა. IT ინფრასტრუქტურის განახლება. ამ ეტაპზე რეკომენდაცია არ არის შესრულებული.
გაზარდეთ ბიბლიოთეკის ბიუჯეტი და დაფინანსება კვლევითი პროგრამებისთვის	ვერ დადსტურდება რეკომენდაციის შესრულება დოკუმენტაციით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- დაწესებულებამ სამოქმედო გეგმაში პრიორიტეტად უნდა განსაზღვროს უმოკლეს ვადაში სტრატეგიულ გეგმაში ასახული სუსტი მხარეების აღმოფხვრა, რომელიც საფრთხეს უქმნის უსდ-ს სტანდარტებთან შესაბამის ფუნქციონირებას.
- აუცილებელია სტრატეგიული განვითარების მიხედვით სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის წარმოება და დღემდე შეუსრულებელი საკითხების ანალიზი.
- გადასახედია წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი, კერძოდ „კვლევასა და პრაქტიკაზე ორიენტირებული ტრანსფორმაციული განათლების უზრუნველყოფის კონცეფცია“
- აკადემიური და ადმინისტრაციული პოზიციების დაკავება გახდეს გამჭირვალე და საჯარო.
- სასწავლო უნივერსიტეტმა განახორციელოს მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა, რაც ეფექტიანს და მოქნილს გახდის საქმისწარმოების პროცესს.

- უსდ-მ უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მონაცემების სრულყოფილად ასახვა.
- უსდ-მ უზრუნველყოს მმართველი ბორდის და აკადემიური საბჭოს ფუნქციონირება.
- უსდ-მ შეიმუშაოს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს სასწავლო უნივერსიტეტის მისიის და სტრატეგიული მიზნების შერულებას.
- უსდ-მ უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მდგრადობა.
- უსდ-მ გააფორმოს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, ვისთანაც გეგმავს თანამშრომლობას.
- განავითარეთ ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდოლოგიები და ინსტრუმენტები დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის საფუძველზე.
- შეიმუშავეთ შესაბამისი, სანდო და განხორციელებადი მეთოდოლოგია სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მიზნით.
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს მიეცეს აკადემიური თავისუფლების გამოხატვის შესაძლებლობა სასწავლო პროცესის დაგემვის და განხორციელების დროს.
- გაუმჯობესდეს ყოველდღიურ აკადემიურ და ადმინისტრაციულ საქმიანობაში ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დანერგვის მექანიზმები.
- უსდ-მ მოახდინოს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში საუკეთესო პრაქტიკის და საერთაშორისო დარგობრივი სტანდარტის გათვალისწინება.
- უსდ-მ უზრუნველყოს აკადემიური საბჭოს ქმედითუნარიანობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განვითარებაში.
- უსდ-მ გააუმჯობესოს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების მოზიდვის და შენარჩუნების მექანიზმები, რათა უზრნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის გამართულობა და მდგრადობა.
- უსდ-მ შეიმუშოას დამსაქმებელთა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში ჩართულობის ეფექტიანი მექანიზმები.
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს მიეცეს აკადემიური თავისუფლების გამოხატვის შესაძლებლობა სასწავლო პროცესის დაგემვის და განხორციელების დროს.
- გაუმჯობესდეს ყოველდღიურ აკადემიურ და ადმინისტრაციულ საქმიანობაში ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დანერგვის მექანიზმები.

  დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მის პროფილთან მიმართებით.

  გაითვალისწინეთ ლექტორების აკადემიური თავისუფლება და მოსაზრებები და შესაბამისად დაგეგმეთ პროგრამების სტრუქტურა, კრედიტების გადანაწილება დ შეფასების სისტემა
- სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის ფორმირებაში გაითვალისწინეთ საერთაშორისო მარეგულირებელი დოკუმენტები და სხვა უნივერსიტეტების კარგი პრაქტიკა.
- შეიმუშავეთ პერსონალის მოზიდვის და შენარჩუნების ეფექტური მექანიზმები;
- რეალურად დანერგეთ პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული მექანიზმები.
- ჩაატარეთ სამუშაო შეხვედრები, პერსონალის გადამზადების ხელშემწყობი ღონისძიებები და ტრენინგები, რომლებიც დაეხმარება მათ პროფესიულ ზრდასა და სამუშაო სივრცეში ინტეგრირებაში.
- გაატარეთ ქმედითი ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილ იქნას აკადემიური და ადმინისტრციული პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურება.
- მოაწესრიგეთ აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები, მათ შორის შრომითი ხელშეკრულებები.
- შეიმუშავეთ დასაქმებული პერსონალის შენარჩუნების მექანიზმი.
- შეიმუშავეთ აკადემიური პერსონალის ადეკვატური (გონივრული) დატვირთვის სქემა მუდმივი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის გათვალისწინებით.
- უზრუნველყავით არსებული დოკუმენტებისა და პროცედურების ცნობადობა საუნივერსიტეტო საზოგადოებაში, განსაკუთრებით ამ პროცედურებში ჩართული/პასუხისმგებელი პირების მიერ.
- უზრუნველყავით, სტუდენტთა უფლებების დაცვა ყველა ასპექტში.
- დეტალურად გაწერეთ სტუდენტთა საჩივრებზე რეაგირების პროცედურა და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურები.

- განსაზღვრეთ სტუდენტის მიერ მიღებული განათლების აღიარების შესაბამისი სტრუქტურა (კომიტეტი, კომისია)
- შესაბამისობაში მოიყვანეთ უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტაცია უნივერსიტეტის ამჟამინდელ მდგომარეობასთან და დასახულ გეგმებთან, რათა თავიდან აიცილოთ სტუდენტებისა და დასაქმებულების დაბნეულობა.
- უზრუნველყავით უწყვეტი განათლების ცენტრის სერვისების თანამშრომლების კვალიფიკაცია, კერძოდ აღჭურვეთ ისინი უმაღლესი განათლების საფეხურების და დიპლომისშემდგომი განათლების კანონის შესახებ ცოდნით
- საფუძვლიანად მოამზადეთ მოწვეული და აკადემიური პერსონალი, რათა სტუდენტთა კონტინგენტის მიღების პერიოდისთვის ისინი ფლობდნენ მენტორობის, რეფერატის ტექნიკურიმხარის და დარგისათვის სპეციფიური კვლევის ეთიკის სტუდენტებისთვის მიწოდების მეთოდებს
- შეიმუშავეთ როგორც სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის, ისე აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების ღია და გამჭირვალე კრიტერიუმები.
- გაზარდეთ ბიუჯეტი თითოეულ დაფინანსებულ პროექტზე.
- სისტემის ეფექტურობის და მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია კვლევითი პროექტის დაფინანსების ვადების შესახებ ინფორმაცია იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.
- მიზანშეწონილია მოხდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირება მათი საქმიანობის შეფასების მექანიზმების თაობაზე.
- უსდ-მ უნდა უზრუნველყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის, საერთაშორისო პუბლიკაციების ინგლისურ ენაზე მომზადებასა და გამოქვეყნებაში ხელშეწყობა ინსტიტუციის კვლევითი პოტენციალის გაზრდის მიზნით.
- უზრუნველყავით ბიბლიოთეკაში ლიცენზირებული სახელმძღვანელოების არსებობა სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი რაოდენობით.
- უზრუნველყავით საბიბლიოთეკო სერვისების თანაბარი ხელმისაწვდომობა ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის.
- უზრუნველყავით ბიბლიოთეკაში დასაქმებული პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენცია
- უზრუნველყავით, რომ ბიბლიოთეკაში დასაქმებული პირები იცნობდნენ და ფლობდნენ ბიბლიოთეკის მუშაობის ყველა მიმართულების გამოყენების უნარ-ჩვევებს, ასევე შეეძლოთ სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულების ინსტრუქტაჟი.
  გააზიარეთ პერსონალთან ინფორმაცია შეფასების გასაჩივრების პროცედურის შესახებ
- უზრუნველყავით სასწავლო ინფრასტრუქტურა გათბობის ცენტრალური სისტემით.
- განავითარეთ IT ინფრასტრუქტურა.

გაზარდეთ ბიბლიოთეკის ბიუჯეტი და დაფინანსება კვლევითი პროგრამებისთვის.მოიყვანეთ შესაბამისობაში ბიზნეს და სამოქმედო გეგმაში ასახული ბიუჯეტი

რჩევები

- საგანმანათლებლო პროგრამების და კვლევების სპეციფიკის გათვალისწინებით უსდ-ში შეიქმნას ბიოეთიკის კომიტეტი
- ჩაატარეთ ტრენინგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან კვლევითი საპროექტო განაცხადების მომზადებისთვის როგორც შიდა, ისე გარე დაფინანსების მოსაპოვებლად.
- მისიაში ასახეთ ის სფერო, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მიმართულებას

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☒	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☒	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☒	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☐	☒	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☒	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☒	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☒	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☐	☐	☒
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☐	☒
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☐	☒
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☒	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☒	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☒	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☒	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☒	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☒

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ხათუნა საგანელიძე (თავმჯდომარე)
2. დიანა მჭედლიშვილი (წევრი)
3. ლელა იოსავა (წევრი)
4. ქეთევან კანკავა (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 19.03.2019 (N14) გადაწყვეტილებით და ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციის „გადახედეთ მისიის ფორმულირებას, რათა იგი გახდეს უფრო ექსპლიციტური“ საფუძველზე მოდიფიცირდა სასწავლო უნივერსიტეტის მისია და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: - სტუდენტებისათვის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, პროფესიონალიზმზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობების უზრუნველყოფა; - პროფესიულ საზოგადოებაში ინტეგრაციისა და კონკურენციისათვის აუცილებელი ცოდნით და უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადება; - სწავლებისა და პრაქტიკული კვლევის განხორციელებით ცოდნის შექმნა და გავრცელება.“ მისიის დახვეწაზე იმუშავა რექტორის მიერ შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა და წარმოდგენილი ფორმულირება ჩამოყალიბებულია გასაგებად, და ითვალისწინებს საქართველოს და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, თუმცა მიზანშეწონილია მისიაში ასახული იყოს ის მიმართულება, თუ რომელ დარგის სპეციალისტების მომზადება აპირებს უნივერსიტეტი. უსდ-ს გრძელვადიანი სტრადეგიაში იკვეთება, რომ უნივერსიტეტს დაგეგილი აქვს ჯანდაცვის სფეროს (დარგის) პროგრამების შეთავაზება. საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტმა (სსსუ) 13.09.2019 შეიცვალა სახელწოდება და ეწოდა „შპს „ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტი“ (სასწავლო უნივერსიტეტის შემოკლებული სახელწოდებაა – შპს „ბსუ“, ინგლისურად - “BTU” LLC).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: შპს ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის მისია „შპს „ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტი“-ს დებულება ვებ-გვერდი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა 09.03.2019 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება 19.03.2019 (N14)
რეკომენდაციები:
რჩევები: მისიაში ასახეთ ის სფერო, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მიმართულებას
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტების მიერ მიცემული რეკომენდაციები:

1. დააზუსტეთ სამოქმედო გეგმაში ქვე-მიზნები და აქტივობები
2. განსაზღვრეთ თითოეული მიზნისათვის ერთი პასუხისმგებელი პირი (თუნდაც მიზნის მიღწევა ითვალისწინებდეს თანამშრომლობას ან დელეგირებას).

რეკომედაციების საფუძველზე სტრატეგიულ გეგმაში შეტანილი იქნა ცვლილებები, ჩამოყალიბებულია ამოცანები მიზნების მიხდვით, რომლებიც გამომდინარეობენ მისიიდან და ასახულია სტრატეგიულ გეგმაში. მოდიფიცირებული ფორმით სამოქმედო გეგმა დამტკიცდა სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მიერ 13.09.2019 N01/12 ბრძანებით.

უსდ-ს მიერ განსაზღვრულია 5 სტრატეგიული მიმართულება (მიზანი):

1. საზოგადოებასთან ურთიერთობა
2. ორგანიზაციის მართვა
3. ხარისხიანი განათლება
4. ინტერნაციონალიზაცია
5. ინფრასტრუქტურა

თუმცა მიზნებიდან გამომდინარე ქვემიზნები/ამოცანები რომლებიც წარმოდგენილია ამ დოკუმენტში აღწერილია გაუგებრად, მაგალითად, მიზანი 3. „კვლევასა და პრაქტიკაზე ორიენტირებული ტრანსფორმაციული განათლების უზრუნველყოფა“. სტრატეგიის დოკუმენტის დასაწყის ნაწილში ამ მიზნის ქვეშ ჩამოთვლილია 5 ქვემზიანი/ ამოცანა, ხოლო შემდგომში სადაც მოყვანილლია „კვლევასა და პრაქტიკაზე ორიენტირებული ტრანსფორმაციული განათლების უზრუნველყოფის კონცეფცია“ -ს ნაწილი, სრულიად აცდენილლია თემას და ტექსტი ატარებს ზოგად მიმოხილვით ქრესტომატიული ნარატივის ხასიათს, სადაც საუბარია აბსოლუტურად განსხვავებულ საკითხებზე. მაგალითად აღნიშნულ თავში საუბარია თუ რას წარმოაგენს განათლება, შემდგომ განხილულია ინგლისურის ცოდნის პრობლემა ქვეყანაში, შემედეგ მოდის საუბარი რომ უსდ-ს მიერ გამახვილდება ყურადღება აკადმიურ და კარიერულ კონსულტირებაზე. ამას მოყვება ინფორმაცია სწავლების და შეფასების სისტემების შესახებ, პროფესორებსა და სტუდენტებს შორის პროპორციაზე, ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკასა და სტუდენტთა ინტერესების დაცვაზე, ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოზე, სტუდენტთა წარმომადგენლობაზე და მათი ჩართულობაზე საუნივერსიტეტო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ეს თემები მეტად საინტერესოა, თუმცა აღნიშნული საკითხები სრულებით არ პასუხობს თავის სათაურს.

აქედან გამომდინარე წარმოდგენილი სტრატეგიის დოკუმენტი უნდა იქნას გადახედილი და ლოგიკურად დალაგებული.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთ თავში „სტრატეგიის შექმნის პროცესი“ უსდ-ს აქვს ნათლად ჩამოყალიბებული სასწავლო უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები. სუსტ მხარეებში აღნიშნულია მრავალი თემა, მათ შორის პუნქტები, როგორიცაა:

- ნაკლები საერთაშორისო კონტაქტები და პარტნიორები;
- გასაუმჯობესებელი მენეჯმენტი, ელექტრონული მართვის სისტემების ნაკლები იმპლემენტაცია;
- ავტომატიზირებული სტუდენტური სერვისების ნაკლებობა;
- გასაუმჯობესებელი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა;
- გასაუმჯობესებელი ვებ-გვერდი და საკომუნიკაციო არხები

ეს თემები არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უმაღლესი დაწესებულების ფუნქციონირებისთვის და საერთაშორისო სტანდარტის განათლების უზრუნველყოფისთვის. ვინაიდან წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა მოქმედებს 2018 წლიდან და და ვინაიდან დაწესებულებას არ აქვს ჩატარებული გეგმის შესრულების მონიტორინგი, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის მიერ ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასებისას დადგინდა, რომ

ზემოთაღნიშნული პუნქტები ისევ წარმოადგენენ დაწესებულების სუსტ მხარეებს, აუცილებელია უმოკლეს ვადაში უსდ-ს მიერ მოხდეს აღნიშნული საკითხების გამოსწორება, წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხის წინაშე დგება სტუდენტების საგანმანათლებლო პროგრამის შედეგზე გაყვანის საკითხი (გაუმართავი IT ინფრასტრუქტურა და მართვის ელექტრონული სისტემის არ არსებობა, სუსტი საკომუნიკაციო არხები)

ერთ-ერთ დოკუმენტში (ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი) მოცემულია ინფორმაცია არა მხოლოდ უნივერსიტეტში არსებული პროგრამების შესახებ, არამედ ასახულია ინფორმაცია, რომ „სამედიცინო, სტომატოლოგიური და ვეტერინარიული განათლება მიიღება ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით, რომელიც სწავლის შედეგებით უთანაბრდება მეორე საფეხურს. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა არის 360-კრედიტიანი, ხოლო დიპლომირებული სტომატოლოგის/ვეტერინარის საგანმანათლებლო პროგრამა–300-კრედიტიანი“, რაც დამაბნეველია მაშინ, როდესაც უნივერსიტეტს აღნიშნული (სამედიცინო და ვეტერინარული) პროგრამები არ აქვს და მათი დანერგვა არც უახლოესი 7 წლის განმავლობაში აქვს დაგეგმილი. ანალოგიურად, გაწერილია სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი, მაშინ როდესაც სამაგისტრო პროგრამები ამ ეტაპზე გათვალიწინებული არ არის.

მეორე რეკომენდაციის თანახმად სამოქმედო გეგმაში გამოყოფილია მიზნების მიღწევაზე პასუხისმგებელი სტრუქტურები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

სტრატეგიული განვითარების გეგმა

სამოქმედო გეგმა

ფაქტობრივი მდგომარეობა

გასაუბრების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა 09.03.2019

რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ სამოქმედო გეგმაში პრიორიტეტად უნდა განსაზღვროს უმოკლეს ვადაში სტრატეგიულ გეგმაში ასახული სუსტი მხარეების აღმოფხვრა, რომელიც საფრთხეს უქმნის უსდ-ს სტანდარტებთანელიც საფრთხეს უქმნის უსდ-
- აუცილებელია სტრატეგიული განვითარების მიხედვით სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის წარმოება და დღემდე შეუსრულებელი საკითხების ანალიზი
- გადასახედია წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმის დოკუმენტში „კვლევასა და პრაქტიკაზე ორიენტირებული ტრანსფორმაციული განათლების უზრუნველყოფის კონცეფცია“

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებით უსდ-ს მიღებული ჰქონდა შემდეგი რეკომენდაცია: „შეიმუშავეთ ღია და გამჭვირვალე დანიშვნა/არჩევის პროცედურები ყველა პოზიციისთვის“. სასწავლო უნივერსიტეტს დოკუმენტალურად შემუშავებული აქვს ღია და გამჭვირვალე პროცედურები აკადემიურ პოზიციაზე დანიშვნის შემთხვევაში. თუმცა რეალურად, ზოგიერთ შემთხვევაში ბუნდოვანია აკადემიური თანამდებობის დაკავების პროცესი, ვინაიდან ზოგიერთმა პირმა უარყო აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნა, მაშინ როდესაც უნივერსიტეტმა წარმოადგინაა თანამდებობაზე არჩევის დოკუმენტაცია და ხელშეკრულება რაც შეეხება ადმინისტრაციულ პოზიციებს, ძირითად ხდება რექტორის მიერ პირდაპირი დანიშვნით, კონკურსის ან რაიმე სახის ვაკანსიის საჯაროდ გამოცხადების გარეშე. დოკუმენტაციის შესაწავლისას გამოიკვეთა, რომ ორგანიზაციული სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულები, ფუნქციებისა და მოვალეობების დელეგირება უსდ-ს მისცემს შესაძლებლობას განახორციელოს სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ზოგადი აქტივობები. თუმცა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები კარგად არ იცობდნენ დებულებებს და მის დაკომპლექტების და საქმიაობის წესებს, მაგალითად აკადემიური საბჭო. აღსანიშნავია, რომ უსდ-ში შექმნილია მმართველი ბორდი და აკადემიური საბჭო, თუმცა სხდომები ამ დრომდე არ ჩატარებულა, ხოლო გადაწყვეტილებები მიიღება სამუშაო ჯგუფის ფორმატში და მტკიცდება რექტორის ბრძანებით. აღნიშნული შესაძლებლობა არ არის განსაზღვრული უნივერსტეტის დებულებით. ასევე აღსანიშნავია, რომ კვლევითი საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებამ დააფუძნა სამეცნიერო-კვლევითიცენტრი, რომელიც ერთ-ერთი მთავარი რგოლია ამ უსდ-სათვის, თუმცა აღნიშნული ცენტრი არ არის ასახული სტრუქტურაში. ამ ეტაპზე სასწავლო უნივერსიტეტი ნერგავს თანამედროვე ტექნოლოგიებს, საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემას, თუმცა ინტერვიუზე ვერ იქნა ახსნილი კონკრეტულად რა პროგრამის შეძენას აპირებდა უსდ. დღეისათვის საქმისწარმოება ხორციელდება სტანდარტული წესების შესაბამისად. უსდ უზრუნველყოფს,საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოებას. ამ ეტაპზე ბაზაში შეყვანილია აკადემიური პერსონალი, ხოლო მოწვეული პერსონალის მონაცემების ბაზაში ასახვა ჯერ არ განხორციელებულა. სასწავლო უნივერსიტეტში განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების გათვალისწინებით, ჯანდაცვის ფაკულტეტს შეეცვალა სახელი და ეწოდა „სტომატოლოგიის და რეაბილიტაციის ფაკულტეტი“. ბიზნესუწყვეტობის უზრუნველსაყოფად, უსდ-ს შემუშავებული აქვს გეგმა, რომელიც ითვალისწინებს უსდ-ს რისკების შეფასებასა და მართვას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ფინანსური რისკების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ფინანსური გარანტორი იქნება დაწესებულება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია“, რომელიც შპს „ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის“ დამფუძნებელია და 100% წილის მფლობელი. ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერის მიზნით შექმნილია საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური. წარმომადგენელმა ვიზიტისას განაცხადა, რომ უნივერსიტეტი მუშაობს საერთაშორისო პარტნიორების მოძიებასა და მათთან საქმიანი ურთიერთობების დამყარებაზე, თუმცა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ჯერ შემუშავებული არ არის. ამ ეტაპზე გაფორმებულია მემორანდუმი იტალიის ფუჯას და თურქეთის რამდენიმე

უნივერსიტეტთან. თანამშრომლობა გათვალისწინებულია ძირითადად სტუდენტებისა და თანამშრომლების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობაზე ფოკუსირებით.

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი მუშაობს აღნიშნულ დაწესებულებაში გაზაფხულიდან, ნახევარ განაკვეთზე სასწავლო უნივრსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. იგი თბილისიდან ჩამოდის ორ კვირაში ერთხელ. ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებიც (ბიბლიოთეკა, IT) ასევე ითავსებენ პოზიციებს. აღსანიშნავია, რომ IT სამსახურის ხელმძღვანელი არ დაესწრო სესიას, რაზედაც ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ პირმა დატოვა პოზიცია. დაინიშნადამატებითი შეხვედრა ახლად დანიშნულ პირთან, რა დროსაც გამოიკვეთა მხოლოდ სამომავლო გეგმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ-ს სტრუქტურა;
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები;
- საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის წარმოების სისტემა;
- დოკუმენტაციის წარმოების წესები;
- ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება;
- ინტერვიუს შედეგები
- მემორანდუმები

რეკომენდაციები:

- აკადემიური და ადმინისტრაციული პოზიციების დაკავება გახდეს გამჭირვალე და საჯარო
- სასწავლო უნივერსიტეტმა განახორციელოს მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა, რაც ეფექტიანს და მოქნილს გახდის საქმის წარმოების პროცესს;
- უსდ-მ უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მონაცემების
- სრულყოფილად ასახვა;
- უსდ-მ უზრუნველყოს მმართველი ბორდის და აკადემიური საბჭოს ფუნქციონირება;
- უსდ-მ შეიმუშაოს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს სასწავლო
- უსდ-მ უზრუნველყოს სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ერთეულების ასახვა;
- ▯ უსდ-მ შეუიმუშავოს ადამიანური რესურსების მდგრადობის უზრუნველყოფის პოლიტიკა; უნივერსიტეტის მისიის და სტრატეგიული მიზნების შესრულებას;

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო უნივერსიტეტს მიღებული ჰქონდა შემდეგი რეკომენდაციები:

„განავითარეთ ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდოლოგიები და ინსტრუმენტები დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის საფუძველზე;

შეიმუშავეთ შესაბამისი, სანდო და განხორციელებადი მეთოდოლოგია სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მიზნით“.

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ორივე რეკომენდაცია დარჩა შესასრულებელი, თუმცა დაწესებულებამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები.

ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს საფუძვლად უდევს „შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, რომლის განხორციელებას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აღნიშნული სტრუქტურის ხელმძღვანელი, ხელშეკრულების თანახმად, მუშაობს სრულ განაკვეთზე მიმდინარე წლის ივნისიდან, თუმცა ცხოვრობს და ასევე მუშაობს თბილისშიც. სხვა თანამშრომელი ამ სამსახურს ამ ეტაპზე არ ჰყავს. შესაბამისად,

ბუნდოვანია როგორ იქნება უზრუნველყოფილი დაწესებულების რესურსების მდგრადობა, შიდა

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობა და სტრატეგიული მიზნების მიღწევა. .

დაწესებულება გეგმავს კვლევების და შეფასებების განხორციელებას, რომლებიც ფარავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა საგანმანათლებლო პროგრამები, სტუდენტების ან დამსაქმებლების კმაყოფილება, პერსონალის შეფასებები და სხვ.

უსდ-ს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელთა განხორციელებაშიც ჩართულები არიან როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისე გარე დაინტერესებული მხარეები (დამსაქმებლები). მაგალითისათვის, დამსაქმებლების ჩართულობით და რჩევით საგანმანათლებლო პროგრამებში მოხდა პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება.

უნივერსიტეტის წესდებისა და შიდა ხარისხის პოლიტიკის თანახმად, ხელმძღვანელობას შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებზე დაყრდნობით. თუმცა, ინტერვიუების დროს ვერ იქნა იდენტიფიცირებული ამ ერთი წლის მანძილზე ჩატარდა თუ არა ადმინისტრაციული და სამეცნიერო პერსონალი საქმიანობის შეფასება და როგორ ხდება ადმინისტრაციის მხრიდან ხარისხის შეფასების შედეგების მიხედვით რეაგირება. , რამდენად მოხდა ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული

ინსტრუმენტების გამოყენება, რადგან მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას სტუდენტები არ

ჰყოლია, ის 2018 წლიდან ფუნქციონირებს და შესაბამისად შეიძლება სხვა კუთხითაც (ადნისტრაციული

ან სამეცნიერო პერსონალის) განეხორციელებინა კვლევები.

სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, თუმცა ინტერვიუების დროს დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან ვერ იქნა ახსნილი, თუ როგორ მოხდა სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გამოანგარიშება ან პროგრამის ბიუჯეტის შედგენა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შიდა ხარისხის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინსტრუმენტები (გამოკითხვის და შეფასების
- ფორმები);
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების და შეფასების წესი;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- უსდ-მ უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მდგრადობა;
- უსდ-მ გააფორმოს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, ვისთანაც გეგმავს თანამშრომლობას;
- განავითარეთ ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდოლოგიები და ინსტრუმენტები დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის საფუძველზე;

- შეიმუშავეთ შესაბამისი, სანდო და განხორციელებადი მეთოდოლოგია სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მიზნით.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღნიშნულ სტანდართან მიმართებით სასწავლო უნივერსიტეტს მიღებული ჰქონდა შემდეგი რეკომენდაციები:

- უზრუნველყავით ეთიკის კოდექსის ფართოდ გავრცელება და ხელმისაწვდომობა;
- განსაზღვრეთ და ჩამოაყალიბეთ "ინტერესთა კონფლიქტის" ცნება;
- მოიძიეთ ინტელექტუალური საკუთრების მითვისებისა და პლაგიატის გამოვლენის ტექნოლოგიური საშუალებები, ნაცვლად ადამიანურ ფაქტორზე დაყრდნობისა;
- პერსონალისათვის ნათელი უნდა იყოს ეთიკასა და აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული პრინციპები და უნდა ხდებოდეს პერსონალის მიერ ამ პრინციპების გათვალისწინება ყოველდღიურ აკადემიურ საქმიანობაში და ასევე, სტუდენტთა აკადემიურ ნაშრომებთან მიმართებით

სასწავლო უნივერსიტეტმა იმუშავა აღნიშნული რეკომენდაციების გამოსწორებაზე, კერძოდ,„ინტერესთა კონფლიქტის" შესახებ გაიწერა უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლში; მოძიებულ იქნა ინტელექტუალური საკუთრების მითვისებისა და პლაგიატის გამოვლენის ტექნოლოგიური საშუალება; ეთიკის კოდექსი განთავსებულია უსდ-ს ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის. აკადემიური და მოწვეულ პერსონალი გასაუბრებისას იზიარებდა ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს.

ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს როგორც უნივერსიტეტის თანამშრომელთა, ისე სტუდენტთა ეთიკის კოდექსი, რომლებიც არის საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. კოდექსში გაცხადებულია, რომ უნივერსიტეტის ეთიკისა და ქცევის წესები ეყრდნობა საქართველოს კანონმდებლობას, მათ შორის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონს, საქართველოს შრომის კოდექსსა და საუნივერსიტეტო განათლებაში დამკვიდრებულ საუკეთესო პრაქტიკას. აკადემიური თავისუფლებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და პერსონალური მონაცემების კონფედენციალურობასთან მიმართებით.
აღსანიშნავია, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში უსდ-ს მოხსენიებული აქვს ვეტერინარიის და მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებსაც იგი არ ახორციელებს. აღნიშნული გარემოება ხდის ბუნდოვანს გარე დაინტერესებული მხარეებისათვის დაწესებულების საქმიანობის პროფილს. ეთიკის კოდექსის მერვე მუხლი ეთმობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, ხოლო მეცხრე მუხლი განსაზღვრავს პასუხისმგებლობებს ეთიკისა და ქცევის წესების დარღვევისთვის. პლაგიატის

თავიდან არიდების მიზნით, დაწესებულებამ გააფრომა ხელშეკრულება ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, რომლის ფარგლებშიც აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა შეამოწმონ საკუთარი ნაშრომები სპეციალურული პროგრამის საშუალებით. თუმცა აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებას ეწურება ვადა მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში. უსდ გეგმავს ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას დაწესებულებას გაცხადებული აქვს აკადემიური თავისუფლების პრინციპების დაცვა, რაც დასტურდება ადმინისტრაციის მხრიდან და უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტებიდან. თუმცა აღსანიშნავია, რომ ინტერვიუების დროს აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ვერ აღწერა მათი ჩართულობა და აკადემიური თავისუფლების გამოხატულობა, მაგალითად, რომ მიუხედავად იმისა, სილაბუსებში არსებულ დარგის შინაარსობრივ მხარეს გაცნობილნი იყვნენ ი შეფასების კომპონენტების შერჩევაში, ქულების გადანაწილებაში, მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დადგენაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ინტერვიუების დროს ასევე გამოიკვეთა უნივერსიტეტის მზაობა ბიოეთიკის კომიტეტის შექმნაში, თუმცა გაცხადდა, რომ ამ ეტაპზე ასეთი კომიტეტის არსებობა საჭირო არ არის და მომავალში საჭიროების დადგომისთანავე ამოქმედდება აღნიშნული კომიტეტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი; • სტუდენტთა ეთიკის კოდექსი; • უნივერსიტეტის დებულება; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს მიეცეს აკადემიური თავისუფლების გამოხატვის შესაძლებლობა სასწავლო პროცესის დაგემვის და განხორციელების დროს; • გაუმჯობესდეს ყოველდღიურ აკადემიურ და ადმინისტრაციულ საქმიანობაში ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დანერგვის მექანიზმები. დაწესებულებამ შესაბამისობაში მოიყვანოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მის პროფილთან მიმართებით.
რჩევები: • საგანმანათლებლო პროგრამების და კვლევების სპეციფიკის გათვალისწინებით უსდ-ში შეიქმნას ბიოეთიკის კომიტეტი.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტს აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებით მიღებული ჰქონდა შემდეგი

- რეკომენდაციები:უზრუნველყავით საგანმანათლებლო პროგრამების დეტალური გაცნობა აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის;
- გააუმჯობესეთ თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და უზრუნველყავით მათი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაში.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტს გადადგმული აქვს ნაბიჯები ორივე რეკომენდაციის შესრულების მიზნით, თუმცა აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემთხვევაში მათი ინტენსიური ჩართულობის მიღწევადობა ეჭქვეშ დგება, ვინაიდან ისინი ძირითადად დასაქმებულნი არიან სხვა დაწესებულებებში და ინტერვიუს დროს არ გამოუმჟღავნებიათ მკვეთრი პოზიცია უსდ-თან დაკავშირებით მათ სამომავლო გეგმებზე. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ მათი ნაწილი ცხოვრობს და მუშაობს თბილისში და ვერ ახერხებენ ჩამოსვლას ყოველკვირეულად. ამასთან აღსანიშნავია, რომ გამოცხადდა აკადემიური კონკურსი და აკადემიური პერსონალს დაემატა ადგილობრივი აკადემიური პერონალი.

რაც შეეხება დამსაქმებლების ჩართულობას, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათი ნაწილობრივი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა-განვითარებაში, კერძოდ, აქცენტი გაკეთდა მხოლოდ ერთ რეკომენდაციაზე - დაწესებულებას გაეძლიერებინა პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტი.

უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს სამი საგანმანათლებლო პროგრამა - „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები (ქართულ და ინგლისურ ენებზე) და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“.

როგორც ინტერვიუზე გაჟღერდა დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან, შრომის ბაზრის კვლევამ გამოავლინა, რომ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებზე არსებობს მოთხოვნა, განსაკუთრებით აჭარის რეგიონში და გურიაში, ასევე არის დაინტერესება უცხოელების მხრიდან, განსაკუთრებით კი ინდოელების და თურქების მხრიდან. კვლევის შედეგები გახდა დაწესებულებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების გახსნის საფუძველი. ბაზრის კვლევამ ასევე აჩვენა, რომ რეგიონის პარტნიორ უნივერსიტეტებს არ აქვთ სტომატოლოგიისა და რეაბილიტაციის პროგრამები ინგლისურ ენაზე. ეს ვითარება გახდა ახალი პროგრამების შეთავაზების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლამ აჩვენა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და შეწყვეტის წესი. დოკუმენტის თანახმად, პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება არის თანამონაწილეობითი პროცესი, რომელშიც ჩართული უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარე. ინტერვიუების დროს გაჟღედა, რომ პროგრამების შემუშავების პროცესი ეფუძნებოდა შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, უნივერსიტეტის მიერ იდენტიფიცირებულ პრიორიტეტებს, უნივერსიტეტის პარტნიორთა შეხედულებებს, დარგობრივ მახასიათებლებს, საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებას. თუმცა პროგრამაში ჩართულმა პირებმა განაცხადეს, რომ სტომატოლოგიის პროგრამების შემუშავების დროს არ უხელმძღვანელიათ „ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლოს 7 სექტემბრის 2005/36 დირექტივის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების რეგულირება საქართველოში“ დოკუმენტით, რომელიც არეგულირებს სტომატოლოგის პროფესიის მინიმალურ მოსამზადებელ პირობებს. ასევე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ჯერ არ ფუნქციონირებს აკადემიური საბჭო, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა პროგრამის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა. აღნიშნული საკითხები წყდება სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე და მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

ინტერვიუების დროს ნაწილობრივ გამოვლინდა დამსაქმებლების ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განვითარებაში. ინტერვიუზე დამსაქმებლებმა განაცხადეს, რომ მათი რჩევების საფუძველზე გაიზარდა პროგრამაში პრაქტიკული ნაწილის კომპონენტი, რასაც მიესალმებიან. ასევე, გამოვლინდა, რომ მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია სილაბუსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთმა დამსაქმებელმა განაცხადა მისი ჩართულობა სილაბუსის შემუშავებაში და ახსენა, რომ იგი არის მოწვეული პერსონალი ამ პროგრამაზე.

უნივერსიტეტს აღნიშნულ სტანდარტთან მიმართებით მიღებული ჰქონდა შემდეგი

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირებისა და შეწყვეტის წესი;
- ინტერვიუს შედეგები

- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები.

რეკომენდაციები:

- უსდ-მ მოახდინოს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში საუკეთესო პრაქტიკის და საერთაშორისო დარგობრივი სტანდარტის გათვალისწინება;
- უსდ-მ უზრუნველყოს აკადემიური საბჭოს ქმედითუნარიანობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განვითარებაში;
- უსდ-მ გააუმჯობესოს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების მოზიდვის და შენარჩუნების მექანიზმები, რათა უზრნველყოფილ იქნას სასწავლო პროცესის გამართულობა და მდგრადობა;
- უსდ-მ შეიმუშოას დამსაქმებელთა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში ჩართულობის ეფექტიანი მექანიზმები.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ-ს მიერ წარმოდგენილია სამი საგანმანათლებლო პროგრამება. ერთსაფეხურიანი "დიპლომირებული სტომატოლოგის" ორი პროგრამა (ქართულად და ინგლისურად), რომლებიც წარმოდგენილია 300 ECTS კრედიტით და "ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვანი პროგრამა, რომელიც წარმოდგენილია 240 ECTS კრედიტით. გასაუბრებისას დადგინდა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის დაორგანიზებული იყო შეხვედრები, სადაც განხილული იყო პროგრამის და სილაბუსების შინაარსი, ასევე საჭირო სასწავლო ლიტერატურა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ საკუთარი სასწავლო კურსის შეფასების სისტემის შესახებ ინფორმაციას ყველა ლექტორი არ ფლობდა. ასევე გასაუბრებისას დადგინდა, რომ პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსების კრედიტების და საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება მოხდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან და უნიფიცირებულია, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალმა კი „მოარგო“ შინაარსი, თუმცა აღნიშნავდნენ, რომ საკონტაქტო საათების რაოდენობა ამ ეტაპზე საკმარისი იყო, შემდეგ კი „მუშა პროცესში გამოჩნდებოდა“ ცვლილებების აუცილებლობა. ექსპერტების კითხვაზე, მათი გამოცდილებით სხვა უნივერსიტეტებში იგივე სასწავლო კურსი მოიცავდა თუ არა იგივე რაოდენობა საათებს, პასუხი არაერთგვაროვანი იყო. გასაუბრებისას მოწვეულმა და აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის შემუშავებისას არ იყო გათვალისწინებული ამ დარგის საერთაშორისო დირექტივა ან რაიმე სხვა, თუნდაც უცხოური უნივერსიტეტის გამოცდილება, რასაც აუცილებლად გაითვალისწინებდნენ პროგრამების აკრედიტაციის პერიოდისთვის. შესაბამისად პროგრამის შედეგები და კრედიტების გადანაწილება ემპირიულია და საჭიროა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- გასაუბრების შედეგები

რეკომენდაციები:

- გაითვალისწინეთ ლექტორების აკადემიური თავისუფლება და მოსაზრებები და შესაბამისად დაგეგმეთ პროგრამების სტრუქტურა, კრედიტების გადანაწილება დ შეფასების სისტემა
- მოიყვენეთ პროგრამების შედეგები და შესაბამისად სტრუქტურა შესაბამისობაში საერთაშორისო მარეგულირებელ რეგულაციებთან და გაითვალისწინეთ კარგი პრაქტიკის მქონე უნივერსიტეტების პროგრამების გამოცდილება

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

გაცემული რეკომენდაციის „შეაფასეთ სწავლის შედეგები და შეიმუშავეთ კლინიკური პრაქტიკის შეფასების მეთოდები საბოლოო გამოცდისთვის“ მიხედვით სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მოხდა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით სილაბუსების გადახედვა და სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების სისტემის დახვეწა. კერძოდ კლინიკური კურსებში შეტანილია პრაქტიკული კოპმპონენტის შეფასების კომპონენტი, დაგეგმილია OSCE-ს ტიპის გამოცდების ჩატრება. შეფასების სისტემა კანონმდებლობის შესაბამისია და და ხელს უწყობს სტუდენტის აკადემიური მიღწევის ადექვატურ შეფასებას.
გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ აკადმიური და მოწვეული პერსონალი არ იცნობს შედეგების გასაჩივრების პროცედურას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

გააზიარეთ პერსონალთან ინფორმაცია შეფასების გასაჩივრების პროცედურის შესახებ

რჩევები:

შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:აღნიშნულ სტანდართან მიმართებით სასწავლო უნივერსიტეტს ჰქონდა შემდეგი რეკომენდაცია: „შეიმუშავეთ აკადემიური პერსონალის მართვის ანალოგიური პროცესები ადმინისტრაციული პერსონალისათვის“. რეკომენდაციის შესრულების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტმა განახორციელა რიგი ცვლილებები შიდა საუნივერსიტეტო დოკუმენტებში. კერძოდ, „ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის დებულების“ მე-6 მუხლის 22-ე პუნქტის თანახმად, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციაა - „უნივერსიტეტში ადმინისტრაციული კადრების მომზადების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი და მიზნობრივი პროგრამების შემუშავება, მისი ძირითადი კომპონენტების განსაზღვრა; აღნიშნული პროგრამების მომზადებისა და რეალიზების ორგანიზება, კოორდინირება და კონტროლი“. ასევე, განხორციელდა სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის გადახედვა და ცვლილებების შეტანა. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ თანამდებობების დასაკავებლად კონკურსი ცხადდება მხოლოდ აკადემიური პოზიციების შემთხვევაში, ხოლო მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი სამსახურში მიიღება რექტორის დანიშვნის საფუძველზე, რეკომენდაციებზე დაყრდნობით, საჯარო კონკურსის გამოცხადების გრეშე ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს არ გამოიკვეთა კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და შენარჩუნების პოლიტიკა. მაგალითად ადმინისტრაციულ თანამდებოებზე დანიშნული პერსონალი, არის კონკურსის გარეშე მიღებული კონკრეეტულ პოზიციებზე, რომელთა კვალიფიკაცია არ არის შეაბამისი, მაგალითად ბიბლიოთეკის თანამშრომელი, რომელისაც გააჩნია მდიდარი საბიბლიოთეკო გამოცდილება და ამავე დროს არის საჯარო ბიბიოთეკის თანამშრომელი,არ ფლობს ინგლისური ენას და არ აქვს ელექტრონულ ბიბლიოთეკით და საძიებლებით სარგებლობის უნარები. ინტერვიუების დროს პერსონალის მხრიდან არ მომხდარა სასწავლო უნივერსიტეტისათვის უპირატესობის მინიჭების მზაობის გამოვლენა, რაც ეჭვ ქვეშ აყენებს კვალიფიციური კადრების მდგრადობას, მით უმეტეს, რომ აკადემიური, მოწვეული და

ადმინისტრაციული პერსონალის დიდი ნაწილი ამავდროულად დასაქმებულია სხვა დაწესებულებაში და ზოგ შემთხვევაში რამდენიმე დაწესებულებაში ერთდროულად.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტს ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად ჰყავს 38 აკადემიური პერსონალი, რომელთაგანაც მხოლოდ 11 არის აფილირებული აღნიშნულ უსდ-თან. მათ შორის არიან ისეთებიც, ვინც ამავდროულად აფილირებულნი არიან სხვა უსდ-თან და ზუსტ პასუხს ვერ იძლევიან, მომავალში გააკეთებენ თუ არა არჩევანს ამ უსდ-ს სასარგებლოდ. მაგალითისათვის, ინგლისურენოვანი სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი აფილირებულია სხვა უსდ-თან.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენცია ვერ დასტურდება ვერც პირადი საქმეებით და ვერც უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, თუმცა ადმინისტრაციის მხრიდან იყო განაცხადი, რომ აკადემიური პერსონალის შემადგენლობა განახლდა სწორედ რომ ინგლისური ენის კომპეტენციის ფლობის მიხედვით.

ზოგიერთი სასწალო კურსის ლექტორს არ უდასტურდება შესაბამისი კვალიფიკაცია, მაგალითად, „ოტორინოლარინგოლოგია“.
ასევე, გასაუბრებისას აკადემიურმა პერსონალმა და ლექტორებმა არ დაადასტურეს უსდ-ის აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნა. რის გამოც ვერ მოხერხდა რეალურად უსდ-ს აკადემიური და მოწვეული პერონალის ზუსტი რაოდენობის იდენტიფიცირება

ინტერვიუბის დროს, უმეტეს შემთხვევაში, ადმინისტრაციული პერსონალი არ ადასტურებდა მიმდინარე პროცესები უშუალო ჩართულობას, რაც გამოიხატებოდა მათი მხრიდან არაერთგვაროვანი პასუხების გაცემით. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც პასუხის გასაცემად ითხოვდენენ გარკვეულ დროს და გასვლას. პერსონალის დიდი ნაწილი ვერ ამჟღავნებდა მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ცოდნას, სამუშაო გრაფიკის აღწერას და ხელშეკრულების გაფორმება-არგაფორმების დადასტურებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ აფილირებულ აკადემიურ პერსონალს არ ქონდა გააზრებული აფილირების ვალდებულებები და დანიშნულება, არც წახალისების პირობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადამიანაური რესურსების მართვის სამსახურის დებულება;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- პერსონალის ფუნქციები და სამუშაოს აღწერილობები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- შეიმუშავეთ პერსონალის მოზიდვის და შენარჩუნების ეფექტური მექანიზმები;
- რეალურად დანერგეთ პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული მექანიზმები;
- ჩაატარეთ სამუშაო შეხვედრები, პერსონალის გადამზადების ხელშემწყობი ღონისძიებები და ტრენინგები, რომლებიც დაეხმარება მათ პროფესიულ ზრდასა და სამუშაო სივრცეში ინტეგრირებაში;
- გაატარეთ ქმედითი ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილ იქნას აკადემიური და ადმინისტრციული პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურება.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

ავტორიზაციის ვიზიტის შედეგად 4.2. ქვესტანდარტში დაწესებულებას მიღებული ჰქონდა რეკომენდაცია კვლევით საქმიანობაში აკადემიური პერსონალის ჩართვის პირობებისა და შესაბამისი პროცედურების შემუშავების შესახებ. რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილ ანგარიშში ვკითხულობთ და ინტერვიუებითაც დასტურდება, რომ აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტმა დააფუძნა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც წარმოადგენს კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერ წამყვან სტრუქტურულ ერთეულს.
ანგარიშში ასევე ვკითხულობთ,რომ უნივერსიტეტიპრიორიტეტულად უზრუნველყოფს აფილირებული პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერას,
შემუშავებულია კვლევითი პროექტების კონკურსის საფუძველზე დაფინანსების წესი.
რეკომენდაციის კვალდაკვალ, სასწავლო უნივერსიტეტმა გადაახალისა აკადემიური
პერსონალის ძირითადი ნაწილი. ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციით ჯამში 38 აკადემიური პერსონალიდან 13 დასაქმებულია
თბილისის მასშტაბით სხვადასხვა უსდ-ში, ხოლო დანარჩენი 25 - ბათუმის და ქუთაისის მასშტაბით.
მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეადგენს 66. თუკი ავტორიზაციის მიღების პერიოდისთვის უნივერსიტეტს ჰყავდა 18 აფილირებული პერსონალი, მონიტორინგის პერიოდისთვის აფილირებული პერსონალის რაოდენობა არის 11. ექსპერტები დაინტერესდნენ, რა პრინციპით მოხდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადახალისება, თუმცა სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან ამომწურავი პასუხი ვერ მიიღო გარდა იმისა, რომ 80 % პერსონალისა გადახალისდა ადგილობრივ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე დაყრდნობით.
სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის არჩევა-დანიშვნის წესი, სადაც ასევე განმარტებულია აფილირების წესი და აფილირებული პირის უფლება-მოვალეობები.
თუმცაღა, ინტერვიუებიდან ცხადი გახდა, რომ ამ წესის შესახებ აკადემიური პერსონალი ინფორმირებული არ არის. მეტიც, დამსწრე ორი აფილირებული პირთაგან მათთვის დაწესებული წახალისების კონკრეტული მექანიზმების შესახებ ან აფილირების პრიორიტეტების შესახებ ცნობილი არ იყო. შესაბამისად, ექსპერტებს გაუჩნდათ საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ აკადემიური პერსონალი ხელშეკრულების პირობებს ზედმიწევნით არ იცნობს. ამისდა მიუხედავად, დამსწრე აკადემეიურმა პერსონალმა ინტერვიუებისას გამოავლინა ინფორმირებულობა იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტს შეუძლია კონკრეტული კვლევები და კონფერენციები მოთხოვნის საფუძველზე დაუფინანსოს, თუმცა ჯერ-ჯერობით ამის მხოლოდ ერთ პრეცენდენტს ჰქონდა ადგილი.
აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე აფილირებული პერსონალის დიდი ნაწილი დამატებით დასაქმებულია სხვა უსდ-ში ან ორგანიზაციაში, რომელიც მისაღები პრაქტიკაა და არ მოდის კანონთან წინააღმდეგობაში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილი ბათუმის სასწავლაერთაშორისო უნივერსიტეტთან ამ ეტაპზე მჭიდროდ არ არის დაკავშირებული. ამის ძირითადი მიზეზი არის: 1) პერსონალის სხვა, მაღალი რეპუტაციის მქონე ინსტიტუციებთან აფილირება და 2) ბსუ-სთან მჭიდრო თანამშრომლობის პერსპექტივის არქონა, რაც, ექსპერტთა აზრით, შესაძლოა რისკ-ფაქტორი გახდეს
პერსონალის შენარჩუნების მხრივ, რაც თავის მხრივ საფრთხეს უქმნის პროგრამების მდგრადობას..
ამავე სტანდარტში, უნივერსიტეტმა ნაწილობრივ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევები შეექმნათ სამოტივაციო პირობები აფილირებისათვის. პროგრამის ხელმძღვანელები
აცხადებენ, რომ აფილირებაზე პერსონალის ნაწილი თანახმაა და ელოდება ავტორიზაციას.
მათივე თქმით, აფილირებისთვის მოტივაცია ძირითადად გამოიხატება ფინანსური დაინტერესებით, კვლევების და სტატიების გამოცემის დაფინანსებით. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ფარგლებში დაგეგმილი კვლევითი პროექტების და კონფერენციების დაფინანსება სახელდება ერთ-ერთ მთავარ

მოტივატორად, თუმცა ექსპერტების აზრით, აღნიშნული აქტივობები ვერ უზრუნველყოფენ კადრების მოზიდვას და შენარჩუნებას დიდი ხნით (retention) . ამის თქმის საფუძველს გვაძლევს აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუები, რომლებიც ცხადყოფს, რომ ცალკეულ შემთხვევებშიც კი, როცა სახეზეა ფინანსური დაინტერესება და ბსუ-ში კარიერული წინსვლა, როგორც მოტივაცია, სხვა უსდ-ში დასაქმებული აკადემიური პერსონალის ბსუ-სთან აფილირება მაინც ნაკლებად მოსალოდნელია. ექსპერტებში გაუგებრობა გამოიწვია ხელშეკრულებების გაფორმების საკითხმაც როგორც მოწვეული, ისე აკადემიური პერსონალის შემთხვევაში. გასაუბრებაზე აკადემიური პერსონალის ნაწილი აცხადებდა, რომ ხელშეკრულებები გაფორმებული არ ჰქონდათ, მაშინ როცა ადმინისტრაციამ ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე აღნიშნული ხელშეკრულებები მყისვე წარმოადგინა. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვიზიტის დროს უსდ-მ წარმოადგინა მხოლოდ 4 ხელშეკრულება აფილირების პირობით, მას შემდეგ რაც ექსპერტებმა ნახეს 11-ვე აფილირებული პერსონალის პირადი საქმე. უსდ-მ ასევე დაგვიანებით წარმოადგინა ზოგიერთ მოწვეულ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ვინაიდან ვიზიტის დროისთვის ვერ მოხერხდა დასაქმებული პერსონალის იდენტიფიცირება, შესაბამისად დატვირთვის განსაზღვრა შეუძლებელი გახდა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • დატვირთვის სქემა • შრომითი ხელშეკრულებები აკადემიურ და აფილირებულ პერსონალთან • სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია • ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: • მოაწესრიგეთ აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები, მათ შორის შრომითი ხელშეკრულებები. • შეიმუშავეთ დასაქმებული პერსონალის შენარჩუნების მექანიზმი. • შეიმუშავეთ აკადემიური პერსონალის ადეკვატური (გონივრული) დატვირთვის სქემა მუდმივი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის გათვალისწინებით
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიცემული რეკომენდაციები სტანდარტთან დაკავშირებით:

უზრუნველყავით ყველა დოკუმენტის საჯაროდ ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე - ნაწილობრივ შესრულებულია, დოკუმენტების ნაწილი (თუმცა, არა ყველა) ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე. არცერთი დოკუმენტი არ არის ხელმისაწვდომი ინგლისურ ენაზე.

განახორციელეთ ყველა რეგულაცია (სტუდენტის სტატუსის მინიჭება, შეჩერება და შეწყვეტა, მობილობა, კვალიფიკაციის მინიჭება და განათლების აღიარება) გამჭვირვალედ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - ამ ეტაპზე შესრულებული არ არის, პროცედურები გაწერილია დოკუმენტებში, თუმცა მათი ეფექტური შესრულების შესაძლებლობის დადასტურება ვერ მოხერხდა ერთი მხრივ იმის გამო, რომ უნივერსიტეტს სტუდენტები არ ჰყავს და აღნიშნული პროცედურები არ განხორციელებულა და მეორე მხრივ იმის გამო, რომ აღნიშნული პასუხისმგებლობები დელეგირებული არ არის და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი ერთეულის (სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის) რესურსი არ არის საკმარისი მისი ყველა ვალდებულების შესასრულებლად.

გასაუბრებისას დადგინდა, რომ მობილობის შემთხვევაში უსდ-ს რომელი სტრუქტურის მიერ მოხდება განათლბის აღიარება (სასწავლო კომპონენტეის მიხედვით და კრედიტების გათვალისწინებით) ცნობილი არ იყო.

სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესები ცხადადაა განმარტებული დოკუმენტაციაში, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ვებ-გვერდის საშუალებით და ეს წესები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. თუმცა, ერთ-ერთ დოკუმენტში (ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი) მოცემულია ინფორმაცია არა მხოლოდ უნივერსიტეტში არსებული პროგრამების შესახებ (სამედიცინო, სტომატოლოგიური და ვეტერინარიული განათლება მიიღება ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით, რომელიც სწავლის შედეგებით უთანაბრდება მეორე საფეხურს. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა არის 360-კრედიტიანი, ხოლო დიპლომირებული სტომატოლოგის/ვეტერინარის საგანმანათლებლო პროგრამა–300-კრედიტიანი.), რაც დამაბნეველია მაშინ, როდესაც უნივერსიტეტს აღნიშნული (სამედიცინო და ვეტერინარული) პროგრამები არ აქვს და მათი დანერგვა არც უახლოესი 7 წლის განმავლობაში აქვს დაგეგმილი. ანალოგიურად, გაწერილია სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი, მაშინ როდესაც სამაგისტრო პროგრამები ამ ეტაპზე გათვალიწინებული არ არის.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აღნიშნული პროცედურების დროული და ეფექტური წარმართვა ვერ შეფასდება ამ ეტაპზე სტუდენტთა არარსებობის გამო.

უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება შედგენილია სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სრული დაცვით.

ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების სტუდენტისათვის გაცნობა (დოკუმენტის თანახმად: სტუდენტის სასწავლო პროცესზე, საგანმანათლებლო პროგრამაზე სწორად ორიენტირება; ინტერვიუს თანახმად: თითოეული სტუდენტისათვის ხელშეკრულების პირობების გაცნობა ინდივიდუალურად) ევალება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს (სხვა არაერთ ფუნქციასთან ერთად), რომელიც ამ ეტაპზე წარმოდგენილია მხოლოდ ერთი თანამშრომლით. მისსავე კომპეტენციაში შედის საინფორმაციო ბროშურებისა და სხვა საცნობარო მასალის მომზადება, მაგრამ სტუდენტების ინფორმირების ძირითად გზად აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული პირი ხელშეკრულების დადების პროცესში ინდივიდუალურ გასაუბრებას მიიჩნევს.

ინტერვიუს შედეგების მიხედვით, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის პრეროგატივაა ასევე სტუდენტის საჩივრების განხილვა. თუმცა, მექანიზმები, რომლებიც იცავს სტუდენტების უფლებებსა და კანონიერი ინტერესებს, იხილავს სტუდენტების საჩივრებს აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოებისა და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით დეტალიზებული არ არის, აღწერილია მხოლოდ ზოგიერთი კონკრეტული შემთხვევისათვის (როგორიცაა ეთიკის კოდექსის დარღვევისთვის მიღებული სანქციების

აპელაცია). უნივერსიტეტის დებულების მიხედვით კი აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოებისა და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით საჩივრების განხილვა წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის პასუხისმგებლობას. ამ პროცესებზე დეტალური განმარტების მიღება ინტერვიუს დროსაც ვერ მოხერხდა.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია არარეალისტური ფოტოები, რომლებიც არ ასახავს საუნივერსიტეტო სივრცის ჭეშმარიტ მდგომარეობას. ეს შესაძლებელია, სტუდენტთა ინტერესების დარღვევის მიზეზი გახდეს, რადგან გამოიწვევს მათ შეცდომაში შეყვანას უნივერსიტეტის სასწავლო გარემოსთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების დოკუმენტი
- შპს ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება
- ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის დებულება
- ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობისა და სწავლის
- პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი
- სტუდენტთა ეთიკის კოდექსი
- უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2025)
- შპს ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა (2019-2022)
- სტუდენტის ხელშეკრულების ნიმუში
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- უზრუნველყავით, სტუდენტთა უფლებების დაცვა ყველა ასპექტში.
- დეტალურად გაწერეთ სტუდენტთა საჩივრებზე რეაგირების პროცედურა და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურები.
- განსაზღვრეთ სტუდენტის მიერ მიღებული განათლების აღიარების შესაბამისი სტრუქტურა (კომიტეტი, კომისია)
- შესაბამისობაში მოიყვანეთ უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტაცია უნივერსიტეტის ამჟამინდელ მდგომარეობასთან და დასახულ გეგმებთან, რათა თავიდან აიცილოთ სტუდენტებისა და დასაქმებულების დაბნეულობა.უზრუნველყავით არსებული დოკუმენტებისა და პროცედურების ცნობადობა საუნივერსიტეტო საზოგადოებაში, განსაკუთრებით ამ პროცედურებში ჩართული/პასუხისმგებელი პირების მიერ.
-

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები
○ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება. ○ უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას. ○ უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიცემული რეკომენდაციები სტანდარტთან მიმართებით მდგომარეობს შემდგომში: 1. ჩაატარეთ ყველა დაგეგმილი სტუდენტთა კვლევა და მიღებული შედეგები გამოიყენეთ შიდა ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამ ეტაპზე აღნიშნული რეკომენდაცია არ არის შესრულებული. კვლევებისათვის კითხვარები შემუშავებულია, თუმცა შედეგების ანალიზის მექანიზმები და მათი შიდა ხარისხის გაუმჯობესებისათვის გამოყენების პროცედურა წარმოდგენილი არ იქნა. 2. განახორციელეთ სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისები. ამ ეტაპზე აღნიშნული რეკომენდაცია არ არის შესრულებული. მრავალფეროვანი საკონსულტაციო სერვისები აღწერილია დოკუმენტაციაში, თუმცა მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით მათი ინფორმირებულობა არ დასტურდება. ამასთანავე, არსებული ადამიანური რესურსით რთული იქნება დაგეგმილი მრავალფეროვანი საკონსულტაციო სერვისების ყველა სტუდენტისათვის უზრუნველყოფა. 3. ჩართეთ უნივერსიტეტის დეპარტამენტები სტუდენტთა მიერ ინიცირებული პროექტებისა და კლასგარეშე აქტივობების განხორციელებაში. ამ ეტაპზე აღნიშნული რეკომენდაცია არ არის შესრულებული. სტუდენტების მიერ ინიცირებული პროექტებისა და კლასგარეშე აქტივობების განხორციელებაში დეპარტამენტების ჩართვის მექანიზმი არაფორმალურია. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი სტუდენტთა ინიციატივების სხვა დეპარტამენტებისათვის გადაცემას თავის ვალდებულებად მიიჩნევს, თუმცა პროცედურა დოკუმენტებში დეტალურად აღწერილი არ არის. 4. ყურადღება მიაქციეთ დასაქმების მაჩვენებელს, აკადემიურ განვითარებასა და მინიჭებულ კვალიფიკაციებს. ამ ეტაპზე აღნიშნულ რეკომენდაცია არ არის შესრულებული. უწყვეტი განათლების სამსახური მზადაა დებულებით გაწერილი აქტივობების შესასრულებლად, თუმცა თავად ამ სამსახურის თანამშრომლები სრულფასოვნად არ იცნობენ საუნივერსიტეტო სივრცეში მოქმედი პროგრამების დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციების დეტალებს და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესაძლებლობებს. საკონსულტაციო სერვისების განხორციელება უნივერსიტეტში იგეგმება და გაწერილია დოკუმენტებში, თუმცა სხვადასხვა ტიპის კონსულტაციის პროცესზე (სტუდენტების ორიენტირება, კონსულტაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის თაობაზე, ფსიქოლოგიური კონსულტაცია, კონსულტაცია სხვადასხვა ყოფით საკითხებზე (უცხოელი სტუდენტებისათვის)) სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტსა და უწყვეტი განათლების ცენტრის წარმომადგენლები არ არიან სრულად ინფორმირებული მისაწოდებელი საკონსულტაციო სერვისების შესახებ. დაგეგმილია, რომ სტუდენტი სწავლის დაწყებისთანავე მიიღებს

ინფორმაციას არსებული კონსულტაციისა და დახმარების შესაძლებლობის შესახებ. უნივერსიტეტში მოქმედებს უწყვეტი განათლების ცენტრი, რომლის შემადგენლობაში არის კარიერული განვითარების კონსულტანტი. ცენტრს დაგეგმილი აქვს მრავალფეროვანი აქტივობები, კარიერული მხარდაჭერის სერვისები, ტრენინგები, სტაჟირებისა და პრაქტიკის შესაძლებლობები. ცენტრის წარმომადგენლები გეგმავენ ანალოგიურ ტრენინგებს დასაქმებულთათვისაც. თუმცა აღსანიშნავია, რომ ცენტრის წამომადგენლები თავიანთი აქტივობის სფეროდ არ განიხილავენ სტუდენტების ორიენტირებას/კონსულტირებას პროფესიული მზადების (რეზიდენტურის) პროგრამებთან მიმართებით და მათი კომპეტენცია სტომატოლოგიის პროგრამით მინიჭებული კვალიფიკაციისა და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ არ არის სრულყოფილი. უნივერსიტეტში არსებობს მოსაზრებები და გარკვეული გეგმები სამომავლო საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებით. და, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულზე პასუხისმგებელი პირების თქმით, რამდენიმე უცხოურ უსდ-სთან (იტალიაში ფოჯას უნივერსიტეტთან და რამდენიმე თურქულ უნივერსიტეტთან) გაფორმებულია ზოგადი ხასიათსის მემორანდუმები და შესაბამისი მუშაობა გააქტიურდება სტუდენტების მიღების შემდგომ. უნივერსიტეტში განსაზღვრულია სტუდენტთა კურიკულუმის გარეშე აქტივობების მხარდაჭერა. პროცედურა ყველა თანამშრომლისათვის ნათელი არ არის, ეს საკითხი, განიხილება სამომავლო მუშაობის მიმართულებად, რადგან მოიაზრება სტუდენტური თვითმმართველობის აქტიური ჩართულობა. ზოგადად სტუდენტის ინიციატივებზე რეაგირების პროცედურა დეტალიზებული არ არის დოკუმენტებში და უნივერსიტეტის წარმომადგენლებსაც ამ საკითხზე არაერთგვაროვანი შეხედულება აქვთ. უნივერსიტეტში დაგეგმილია სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიმართული შეღავათები. დოკუმენტებში აღწერილია დახმარების სხვადასხვა ფორმები მრავალფეროვანი საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის. გათვალისწინებულია, ასევე, ფინანსური წახალისება წარჩინებული სტუდენტებისათვის. შეღავათები გათვალისწინებულია ბიუჯეტშიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების დოკუმენტი
- შპს ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება
- ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის დებულება
- შპს ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა (2019-2022)
- შპს ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის დებულება
- ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- უზრუნველყავით არსებული დოკუმენტებისა და პროცედურების ცნობადობა საუნივერსიტეტო საზოგადოებაში, განსაკუთრებით ამ პროცედურებში ჩართული/პასუხისმგებელი პირების მიერ.
- უზრუნველყავით უწყვეტი განათლების ცენტრის სერვისების თანამშრომლების კვალიფიკაცია, კერძოდ აღჭურვეთ ისინი უმაღლესი განათლების საფეხურების და დიპლომისშემდგომი განათლების კანონის შესახებ ცოდნით

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მისიისა და ხედვის შესაბამისი მიდგომა კვლევის აქტივობებთან დაკავშირებით, როგორც ეს რეკომენდაციებში იყო მოთხოვნილი. გამომდინარე სასწავლო პროგრამებიდან, რომლებიც მოიცავს სტომატოლოგიისა და რეაბილიტოლოგიის მიმართულებებს, უნივერსიტეტს კვლევის პრიორიტეტად სწორედ აღნიშნული მიმართულებები აქვს არჩეული. ამავე მიზნით და რეკომენდაციის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიც, რომლის ძირითადი ფუნქციებია: „ა) სასწავლო უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვის კოორდინაცია; ბ) ინოვაციურ ცოდნაზე, ხარისხსა და შედეგზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევების განხორციელების, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესის ინტეგრაციის ხელშეწყობა; გ) საქართველოს სამეცნიერო წრეებთან ურთიერთობის დამყარება, მათი საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა/ანალიზი და სასწავლო უნივერსიტეტში დანერგვა; დ) სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, შევხვედრების ორგანიზება და სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფა; ე) საერთაშორისო საგრანტო პროექტების მოძიება, მათში სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ჩართვა და კოორდინაცია. ვ) სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროგრამებში კვლევითი კომპონენტის განვითარების მიზნით; ზ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების ანალიზი, წლიური ანგარიშის მომზადება და სასწავლო უნივერსიტეტის რექტორისთვის წარდგენა; თ) სამეცნიერო კვლევების წახალისება; ი) სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა; კ) სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კავშირების გაფართოება, ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება; ლ) ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული ზრდისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელება. მ) კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება და სასწავლო უნივერსიტეტის რექტორისთვის წარდგენა; ნ) კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობით, ამ დებულებითა და რექტორის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება“ (შპს ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულება). ამგვარად, არსებობს კვლევითი საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ფორმალური მხარე, თუმცა რეკომენდაციების მიღებიდან მონიტორინგის თარიღამდე არსებულ ვადებში ექსპერტებს შეუძლებლად მიაჩნიათ ყველა რეკომენდაციის სრულყოფილად და ქმედითუნარიანად განხროციელება. შესაბამისად, რეკომენდაციის შესრულება მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებით და დაგეგმილი საქმიანობებით შეიძლება შეფასდეს. რაც შეეხება ფაკულტეტის მასშტაბით კვლევითი ნაშრომების შეფასებაში ჩართულ პირთა მომზადებას, და მენტორობას, ამ რეკომენდაციის შესრულება დაწყებულია. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული მასალებით და პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ორგანიზებით და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობით ჩატარდა სამი ტრეინინგი 1. პოპულარული სამეცნიერო საძიებო ბაზები მედიცინაში; 2. სამეცნიერო კვლევის დიზაინის ძირითადი ასპექტები მედიცინაში; 3. სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი მედიცინაში. აღნიშნულ ტრენინგებში მონაწილეობას ადასტურებს აკადემიური და

ადმინისტრაციული პერსონალიც. მიუხედავად იმისა რომ ტრენინგების შინაარსი ითვალისწინებდა პერსონალისთვის სამედიცინო კვლევის ჩატარების ძირითადი მეთოდების და სამეცნიერო ბაზების გამოყენებას, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ტრენინგები უნდა გაგრძელდეს და აქცენტი გაკეთდეს ასევე კვლევითი ნაშრომის შეფასების მეთოდების გაცნობაზე, კვლევითი ნაშრომის/საპრეზენტაციო ნაშრომის მომზადების პრინციპებზე, კვლევის ხელმძღვანელობაზე, ნაშრომის/-რეფერატის შეფასების კომპონენტებზე (რუბრიკა) ,აკადემიური კეთილსინდისიერების და კვლევის ეთიკის საკითხებზე.
აკადემიური პერსონალმა და ადმინისტრაციული პერსონალმაც დაადასტურა, რომ სამეცნიერო ცენტრთან ერთად უკვე ჩატარდა სამი ტრეინინგი პროფესორ-მასწავლებელებისთვის, რომელთაგან ერთი ეხებოდა სამეცნიერო ბაზების კონტროლს (დანარჩენი ორი ვერ დაასახელეს).
სამომავლოდ გათვალისწინებულია ტრენინგების ჩატარება ყველა აკადემიური პერსონალისათვის, მოთხოვნის შესაბამისად, თუკი საჭიროებათა ანალიზი ამას მოითხოვს. მიზანშეწონილია, რომ ამგვარი ტრენინგები ორგანიზებული იყოს ფაკულტეტის მიერ სამეცნიერო კვლევით ცენტრთან თანამშრომლობით, ვინაიდან მიღებული რეკომენდაცია სწორედ ფაკულტეტის განვითარებას ითვალისწინებს და სასწავლო პროცესში კვლევის ინტერგრირების მნიშველობას უსვამს ხაზს.
ზოგადად, ინტერიუებიდან ირკვევა, რომ ვინაიდან ჯერ სტუდენტთა კონტიგენტი უნივერსიტეტს არ მიუღია, რიგი აქტივობების განხორციელების საჭიროება არ დამდგარა. პანელის მონაწილეები განმარტავენ, რომ კვლევითი აქტივობების, ისევე როგორ პრაქტიკული ნაწილის წილი სასწავლო კურიკულუმში გაიზარდა დამსაქმებლებთან კონსულტაციების საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსები გადახალისდა და დაემატე კვლევითი კომპონენტი, კერძოდ პრეზენტაცია-რეფერატის მომზადება. ბსუ-მ ასევე დაარსა ორი ლაბორატორია - ქიმიისა და ჰისტოლოგიის, გააფორმა მემორანდუმები პრაქტიკული სწავლების განსახორციელებლად პარტნიორ სამედიცინო დაწესებულებებთან და დააფუძნა სტომატოლოგიური კლინიკა, რომელიც ამ ეტაპზე გამოყენებული იქნება სასწავლო მიზნებისთვის როგორც სიმულაციაური ცენტრი მომავალში კი იგეგმება სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის აღება კლინიკისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დებულება
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- მემორანდუმები
- ფაქტობრივი გარემოება

რეკომენდაციები:

საფუძვლიანად მოამზადეთ მოწვეული და აკადემიური პერსონალი, რათა სტუდენტთა კონტინგენტის მიღების პერიოდისთვის ისინი ფლობდნენ მენტორობის, რეფერატის ტექნიკური მხარის და დარგისათვის სპეციფიური კვლევის ეთიკის სტუდენტებისთვის მიწოდების მეთოდებს

შეიმუშავეთ როგორც სამეცნიერო-

კვლევითი ერთეულის, ისე აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების ღია და გამჭირვალე კრიტერიუმები.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
○ უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. ○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში. ○ უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უსდ ავტორიზაციიდან მონიტორინგამდე პერიოდში თავის ძირითად და საკვანძო მიღწევად მიიჩნევს კვლევების ცენტრის დაარსებას. ცენტრის მხარდაჭერით ამ მოკლე პერიოდში განხორციელდა ორი ინიციატივა: 1) მიმდინარე წლის ივლისის თვეში დაფინანსდა სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, სახელწოდებით: "ბავშვთა ასაკში გავრცელებული თანკბილვის ანომალიები და გამომწვევი რისკ ფაქტორები აჭარაში". კვლევა ხორციელდება „საქართველოს იმპლანტოლოგთა ასოციაციის" პარტნიორობით და ასოციაციის პრეზიდენტის თანამონაწილეობით. 2) ბსუ-ში დაარსდა ბიოსამედიცინო მეცნიერებათა პირველი ქართული ჟურნალი სახელწოდებით „Georgian Journal of Biosciences" და გამოიცა აღნიშნული ჟურნალის პირველი ნომერი, სადაც ძირითადად ბსუ-ს მოწვეული და აკადემიური პერსონალის რეფერატებია წარმოდგენილი ქართულ და ინგლისურ ენებზე. ცენტრს ხელმძღვანელობს კვალიფიციური, ფართო სამეცნიერო გამოცდილების მქონე ახალგაზრდა მკვლევარი, რომელიც პარალელურად დასაქმებულია ორ სხვა უნივერსიტეტში. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს კვლევითი საქმიანობის გაფართოება და კავშირების გაძლიერება, მათ შორის თურქეთთან და იტალიასთან. სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ინსტიტუციური თანამშრომლობის გაძლიერება და უცხოეთის სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობის ჩამოყალიბება 2019-2022 წლებში. შეიძლება ითქვას, რომ კვლევითი ცენტრის საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის გეგმა არსებობს, თუმცა ამ ეტაპზე ძნელია შეფასდეს რამდენად ეფექტური ან რეალისტურია ყველა იმ აქტივობის განხორციელება, რასაც სამოქმედო გეგმა ისახავს მიზნად. ამდენად, ინსტიტუციურად კვლევის მხარდაჭერის სისტემა მართალია არსებობს, მაგრამ ის ამ ეტაპზე არის ნაკლებად გამჭვირვალე და აქვს პირობითი ხასიათი. ამის მაგალითია უკვე დაფიანსებული კვლევა, რომლის წარდგენის და გადაწყვეტილების მიღების ეტაპები და პროცედურა ბუნდოვანია და დოკუმენტურად ვერ დასტურდება. უნივერსიტეტის მენეჯმენტის გადაწყვეტილება, რომ პრიორიტეტულად დააფინანსოს აფილირებული პერსონალის კვლევითი ინიციატივები ნამდვილად შესაძლოა იყოს დამატებითი მოტივაციის წყარო ახალგაზრდა მკვლევრების მოსაზიდად, მათ შორის უცხოელი მკვლევარებისაც. მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ კვლევითი პროექტი მიზნად ისახავს სტუდენტების ჩართვას, შედეგების დისემინაციას საერთაშორისო პუბლიკაციების ან კონფერენციების მეშვეობით, მიზანშეწონილია ბიუჯეტის გაზრდა თითოეულ დაფინანსებულ პროექტზე. ამასთანავე, სისტემის ეფექტურობის და მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია კვლევითი პროექტის დაფინანსების ვადების შესახებ ინფორმაცია იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი (მაგ. კვლევითი ცენტრის ვებგვერდზე ან სიახლეები განყოფილებაში). გარდა ამისა, მიზანშეწონილია პერიოდული ტრენინგების ჩატარება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან კვლევითი საპროექტო განაცხადების მომზადებისთვის როგორც შიდა, ისე გარე დაფინანსების მოსაპოვებლად. და ბოლოს, სამომავლო კვლევითი საქმიანობის გაფართოებისთვის, სასწავლო უნივერსიტეტმა დროულად უნდა დაამყაროს კავშირები შესაბამისი პროფილის მქონე ევროპულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ამ ეტაპზე არსებობს ზოგადი ხასიათის მემორანდუმი ფოჯას უნივერსიტეტთან (იტალია) და რამოდენიმე თურქულ უნივერსიტეტთან, რაც ძირითადად სტუდენტების გაცვლას გულისხმობს. თანამშრომლობის გაძლიერება ევროპულ უნივერსიტეტებთან არა მხოლოდ გააძლიერებს ბსუ- ს ინსტიტუციურ და აკადემიურ პოტენციალს, არამედ შესაძლოა გახდეს სამომავლოდ ერთობლივი კვლევითი ინიციატივების განხორციელების დასაწყისი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • კვლევითი ცენტრის დებულება

- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- ბიზნეს-გეგმა
- სამეცნიერო კვლევითი პროგრამების დაფინანსების და კონკურსის ჩატარების წესი
- ინტერვიუები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- მემორანდუმები

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია ბიუჯეტის გაზრდა თითოეულ დაფინანსებულ პროექტზე.
- სისტემის ეფექტურობის და მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია კვლევითი პროექტის დაფინანსების ვადების შესახებ ინფორმაცია იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

რჩევები:

ჩაატარეთ ტრენინგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან კვლევითი საპროექტო განაცხადების მომზადებისთვის როგორც შიდა, ისე გარე დაფინანსების მოსაპოვებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით გამოთქმული რეკომენდაციები შეეხებოდა კვლევების განვითარების სტრატეგიას, შეფასების მექანიზმებს, მათ შორის კვლევითი პროექტების შეფასების წესსა და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების უზრუნველყოფას. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე წლის აპრილის თვიდან დამტკიცებულია და მოქმედებს კვლევითი პროექტების დაფინანსების წესი. განსახორციელებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ბიუჯეტი და დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 6000 ლარით. ექსპერტების მიერ პოზიტიურად შეფასდა კვლევითი პროექტების დაფინანსების წესი და შეფასების კრიტერიუმები, რომლის შესახებ ინფორმირებულობა დაადასტურეს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგელებმაც. აღნიშნული წესის ფარგლებში უკვე დაფინანსდა ერთი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი „ ბავშვთა ასაკში გავრცელებული თანკბილვის ანომალიები და გამომწვევი რისკ ფაქტორები აჭარაში“. თუმცა, როგორც გასაუბრებების საფუძველზე გაირკვა, აღნიშნული კვლევითი პროექტის დაფინანსება ღია წესით არ მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ კონკურსის ჩატარების წესი ამას ითვალისწინებს. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, თუ რატომ არ გამოცხადდა ღია კონკურსი, რაზეც მივიღეთ პასუხი, რომ ეს იყო პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი კვლევითი პროექტი, რომელიც წარედგინა უშუალოდ რექტორს და დაფინანსდა რექტორისვე ბრძანებით.
რაც შეეხება რეკომენდაციას კვლევითი საქმიანობის შეფასებასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვს, რომ ნაწილობრივ შესრულებულია. მოწოდებული მასალის და ინტერვიუების საფუძველზე ირკვევა, რომ კვლევითი საქმიანობის შეფასება ძირითადად ხდება წლიური ანგარიშის საფუძველზე, რომელსაც სამეცნიერო კვლევითი ცენტრი წარუდგენს რექტორს. გარდა ამისა, ბსუ-ს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ითვალისწინებს კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების

შეფასებას და ანალიზს და ეს ყოველივე ზედმიწევნით არის ასახული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში, თუმცა ინტერვიუებით დასტურდება, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი თავიანთი საქმიანობის შეფასების სისტემაში ჩახედული არ არის. ყოველივე ეს ქმნის იმის საჭიროებას, რომ კვლევითი საქიანობის შეფასება გახდეს უფრო ქმედითი და შედეგების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული. აკადემიური კორპუსის ინფორმირება მათივე პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმებთან დაკაშირებით, ასევე ის დამატებითი მამოტივირებელი ფაქტორები, რაც მომავალში მათ მჭიდრო კავშირს განაპირობებს ბსუ-სთან, მნიშვნელოვანი წინაპირობაა ხარისხიანი განათლების შესათავაზებლად როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სტუდენტებისთვის.

სამეცნიერო კვლევითი ცენტრის საქმიანობის შეფასება ხდება წლიურად: კერძოდ, დგება წლიური ანგარიში და წარედგინება რექტორს. ბსუ-ს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ითვალისწინებს კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების შეფასებას და ანალიზს და ეს ყოველივე ზედმიწევნით არის ასახული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში, თუმცა აკადემიური და მოწვეული პერსონალი თავიანთი საქმიანობის შეფასების სისტემაში ჩახედული არ არის. აკადემიური კორპუსის ინფორმირება მათივე პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმებთან დაკაშირებით, ასევე ის დამატებითი მამოტივირებელი ფაქტორები, რაც მომავალში მათ მჭიდრო კავშირს განაპირობებს ბსუ-სთან, მნიშვნელოვანი წინაპირობაა ხარისხიანი განათლების შესათავაზებლად როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სტუდენტებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამეცნიერო -კვლევითი ცენტრის დებულება
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- უნივერსიტეტის დებულება
- ბიზნეს-გეგმა
- სამეცნიერ-კვლევითი პროგრამების დაფინანსების კონკურსის პირობები და ჩატარების წესი
- უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია მოხდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინფორმირება მათი საქმიანობის შეფასების მექანიზმების თაობაზე.
- უსდ-მ უნდა უზრუნველყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის, საერთაშორისო პუბლიკაციების ინგლისურ ენაზე მომზადებასა და გამოქვეყნებაში ხელშეწყობა ინსტიტუციის კვლევითი პოტენციალის გაზრდის მიზნით.
- შეიმუშავოს როგორც სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის, ისე აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების ღია და გამჭირვალე
- კრიტერიუმები.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: აღნიშნულ კომპონენტთან მიმართებით უნივერსიტეტმა მიიღო რეკომენდაცია საბიბლიოთეკო სივრცის გაფართოების თაობაზე. ექსპერტებმა ადგილზე შეამოწმეს ფაქტობრივი გარემოებები და დაათვალიერეს საბიბლიოთეკო სივრცე, რომელსაც რეკომენდაციის გათვალისწინებით, დაემატა დაახლოებით 20 კვ.მ. ფართი. ბიბლიოთეკა აღიჭურვა 10 პერსონალური კომპიუტერით და სამუშაო სივრცით. ამავე სტანდარტის მორიგი რეკომენდაცია გულისხმობდა ორივე სართულზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სპეციალურად ადაპტირებული სანიტარული კვანძების მოწყობას. ადგილზე შემოწმდა ფაქტობრივი გარემოება და დადასტურდა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება. ფაქტობრივი დათვალიერებისას დადგინდა, რომ შენობაში გათბობის ცენტრალური სისტემა არ არის მოწყობილი. დაწესებულების წარმომადგენლების განცხადებით გათბობა-გაგრილების მოწყობილობებით ხდება სამუშაო გარემოს შექმნა, თუმცა მსგავსი მოწყობილობები აუდიტორიებში ვერ იქნა ნანახი და დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი დანადგარების საჭირო რაოდენობის ფლობის დოკუმენტაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ფაქტობრივი გარემოება მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: • უზრუნველყავით სასწავლო ინფრასტრუქტურა გათბობის ცენტრალური სისტემით
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები
ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი

საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიცემული რეკომენდაციები სტანდარტთან დაკავშირებით: 1. გაზარდეთ ფინანსური დახმარება ბიბლიოთეკისთვის, რათა ხელი შეუწყოთ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარებას დაწესებულებაში ამ ეტაპზე არ არის შესრულებული. უნივერსიტეტში აცხადებენ, რომ ბიბლიოთეკის დაფინანსება გაზრდილია, თუმცა სამოქმედო გეგმაში მომდევნო 3 წლისთვის გაწერილი დაფინანსება ბიბლიოთეკის ხარჯებთან ერთად მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხარჯებს (მათ შორის ტექნოლოგიურ აღჭურვას და ბიზნესუსაფრთხოების გეგმით გათვალისწინებული საფრთხეების თავიდან არიდებისათვის აუცილებელ ხარჯებს). კონკრეტულად ბიბლიოთეკისათვის გათვლილი დაფინანსების ოდენობის, სქემისა და პოლიტიკის დემონსტრირება ვერც ინტერვიუს დროს მოხერხდა. 2. შეიძინეთ წიგნების უახლესი გამოცემები, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. აღნიშნული რეკომენდაცია ამ ეტაპზე არ არის შესრულებული. წიგნები ფორმალურად შეძენილია, თუმცა მყარი სახით არსებობს მათი მხოლოდ მცირე ნაწილი და ისიც უმეტეს შემთხვევაში თითო ქსეროასლის სახით. ორიგინალი წიგნების რაოდენობა მცირეა და მათი უმრავლესობა წარსულში უკვე იყო დამუშავებული საბიბლიოთეკო წესით სხვა დაწესებულების მიერ (რასაც ადასტურებს ბეჭედი). ამ წიგნების შეძენის ან ჩუქების დამადასტურებელი დოკუმენტის მოძიება ვერ მოხერხდა. 3. ჩაატარეთ კვლევები სტუდენტთა საჭიროებების გამოსავლენად საბიბლიოთეკო რესურსებთან დაკავშირებით. აღნიშნული რეკომენდაცია ამ ეტაპზე არ არის შესრულებული. სტუდენტთა საჭიროებების გამოვლენა ვერ განხორციელდა უნივერსიტეტში სტუდენტების არარსებობის გამო. ბიბლიოთეკა მოიცავს წიგნსაცავის, სამკითხველო დარბაზის, ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის სამუშაო, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის სივრცეებს. საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცე ინტეგრირებულია ჯგუფური მუშაობის სივრცესთან. დაწესებულებაში არსებობს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, საინფორმაციო ხასიათის ინსტრუქციები და სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. არის სტუდენტების მოხმარებისათვის გათვალისწინებული 10 კომპიუტერი, ბიბლიოთეკარის კომპიუტერი მასზე მიერთებული პრინტერით. ასლის გადაღებისა და სკანერის აპარატი საბიბლიოთეკო სივრცეში არ არის. უზრუნველყოფილია უკაბელო ინტერნეტით სარგებლობის საშუალება. ბიბლიოთეკის ბეჭდური ფონდი მეტად შეზღუდულია, წიგნების დიდი ნაწილი წარმოდგენილია თითო ასლით. ეს წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. აღსანიშნავია, რომ ბეჭდური წიგნების უმეტესობა წარმოადგენს ქსეროასლებს (მათ შორის, ხშირ შემთხვევაში, შავ-თეთრი ქსეროასლების სახით). ეს ფაქტი ერთმნიშვნელოვნად არღვევს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით აღნიშნული ქსეროასლები შეძენილია მინიმალურ ფასად, რომელიც მკვეთრად ჩამოუვარდება ჩამოთვლილი სახელმძღვანელობის საბაზრო ფასებს. ელექტრონულ მატარებლებზე არსებული სახელმძღვანელოების ნუსხა მრავალფეროვანია, სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში (მეტწილად ელექტრონული სახით). ბიბლიოთეკაში არსებობს ელექტრონული კატალოგი და წიგნების ძიების ელექტრონული სისტემა, რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდიდან მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით. თუმცა გადამოწმებული სახელმძღვანელოების დიდი ნაწილი (გადამოწმებული 6-დან 5 სახელმძღვანელო) არ იძებნება ბიბლიოთეკის განახლებულ კატალოგში. ყველა აღნიშნული სახელმძღვანელოს მოძიება მოხერხდა ძველ კატალოგში (რომელიც საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტის ქუდით არსებობს). ბიბლიოთეკარის თქმით, ძველ კატალოგს ახალი კატალოგისაგან განსხვავებით არ აქვს წიგნების ჩამოტვირთვის ფუნქცია, შესაბამისად აღნიშნული ელექტრონული წიგნების მოძიება ხდება კომპიუტერის შესაბამის საქაღალდეში. წიგნების ნაწილი (არა ყველა წიგნი) ინახება ასევე CD/DVD დისკებზეც. ყველა

ელექტრონული წიგნი ბიბლიოთეკარის კომპიუტერის საქაღალდეებში არ იძებნება. როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლები განმარტავენ, ტექნიკური პრობლემის გამო წიგნების ნაწილი ჩაწერილია ბიბლიოთეკის კომპიუტერში, ნაწილი კი რექტორის მისაღებში არსებულ კომპიუტერში. ბოლო ავტორიზაციის შემდეგ სასწავლო პროგრამებში შევიდა გარკვეული ცვლილებები, რომელთა შესაბამისად განახლებულია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. წიგნების შერჩევაში გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის მოთხოვნა. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, წიგნების დიდი ნაწილი წარმოდგენილია ასლების სახით, ხოლო ელექტრონული წიგნების შეძენის დოკუმენტაცია მოპოვებული ვერ იქნა. სტუდენტებსა და პერსონალს აქვს წვდომა ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე. წვდომა არის ასევე უკაბელო ინტერნეტით დაკავშირებული მომხმარებლებისათვის. თუმცა, წარმოდგენილი ბაზების ნაწილზე ვიზიტის დროს წვდომა შეზღუდული იყო, რაც მომწოდებლის მხრიდან არსებული ხარვეზით იქნა ახსნილი. ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალის კომპეტენციები შეზღუდულია, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენების უნარებს საუნივერსიტეტო სივრცეში არავინ ფლობს; მათ შორის, არც ბიბლიოთეკარი არ არის მზად ელექტრონული ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებული კონსულტაციის გასაწევად. ბიბლიოთეკარი არ ფლობს ინგლისურ ენას, რაც ეჭვქვეშ აყენებს უცხოელი სტუდენტების ბიბლიოთეკაში მომსახურების შესაძლებლობას. ბიბლიოთეკის რესურსებთან და სერვისებთან დაკავშირებით სტუდენტებისა და პერსონალისათვის ინფორმაციის მიწოდება, ტრენინგების ჩატარება, შეხვედრები ამ ეტაპზე არ წარმოებს, თუმცა აკადემიური და მოწვეული პერსონალი გათვითცნობიერებულია, რომ ასეთი შესაძლებლობები მათ სამომავლოდ ექნებათ. ღონისძიებების დაგეგმვა და კოორდინირება ბიბლიოთეკის თანამშრომლების ფუნქციაშიც შედის. ბიბლიოთეკა სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კვირაში 6 დღე, 9:00-დან 20:00 საათამდე (შაბათს 17:00 საათამდე), ეს გაწერილია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში, თუმცა სამუშაო საათები ბიბლიოთეკის სივრცეში გამოკრული არ არის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების დოკუმენტი
- ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულება
- ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- შპს ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა (2019-2022)
- ბიზნეს-გეგმა
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- უზრუნველყავით ბიბლიოთეკაში ლიცენზირებული სახელმძღვანელოების არსებობა სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი რაოდენობით.
- უზრუნველყავით საბიბლიოთეკო სერვისების თანაბარი ხელმისაწვდომობა ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის.
- უზრუნველყავით, რომ ბიბლიოთეკაში დასაქმებული პირები იცნობდნენ და ფლობდნენ ბიბლიოთეკის მუშაობის ყველა მიმართულების გამოყენების უნარ-ჩვევებს, ასევე შეეძლოთ სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულების ინსტრუქტაჟი.
- უზრუნველყავით ბიბლიოთეკაში დასაქმებული პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენცია

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიცემული რეკომენდაციები სტანდარტთან დაკავშირებით: განავითარეთ IT ინფრასტრუქტურა სრულად, გეგმის შესაბამისად - ამ ეტაპზე არ არის შესრულებული. IT ინფრასტრუქტურა განვითარებული არ არის და სამსახურში მომხდარი რეორგანიზაციის ფონზე ამ დროისათვის სამსახურის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირები სრულყოფილად არ იცნობენ სამსახურის გეგმას და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს. უნივერსიტეტში შექმნილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და ელექტრონული სისტემები სრულად აწყობილი არ არის. არცერთი პროცესისათვის პროგრამული უზრუნველყოფა არ მუშაობს. თვითშეფასების დოკუმენტში ნახსენები სისტემები (სტუდენტების პორტალი, საქმისწარმოების პროგრამა) ვერ იქნა დემონსტრირებული. უნივერსიტეტის წარმომადგენლების თქმით, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა ამ ეტაპზე არ არსებობს, სასწავლო პროცესების მართვის სისტემაც დაუსრულებელია. ბიბლიოთეკის ელექტრონული სისტემა ხარვეზებით მუშაობს. გადამოწმენული წიგნების დიდი ნაწილი არ იძებნება განახლებულ სისტემაში. ბიბლიოთეკის თანამშრომელს უწევს ძველი სისტემის გამოყენება და მანუალურად ძიება ბიბლიოთეკის სივრცეში და მის გარეთ არსებულ კომპიუტერებში. ეს მდგომარეობა ართულებს უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის წიგნებთან წვდომას. კომპიუტერული აღჭურვილობა არ არის საკმარისი პირველ წელს მიღებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობისათვის, რასაც თავად უნივერსიტეტის თანამშრომლებიც აღნიშნავენ. დოკუმენტურად კომპიუტერული აღჭურვილობის საჭრო რაოდენობა განსაზღვრულია ბუნდოვნად - ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტისა და აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში აღწერილია, რომ „კომპიუტერი ან ბიბლიოთეკაში სამუშაო ადგილი 16 სტუდენტზე უნდა იყოს უზრუნველყოფილი თავისუფალ წვდომაში“. ამ წესის მიხედვით კომპიუტერების რაოდენობა არასაკმარისია, თუმცა ბიბლიოთეკაში სამუშაო ადგილების რაოდეობა საკმარისზე მეტია. კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ იქნა წარმოდგენილი, ამასთან აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ კომპიუტერს ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის ინვენტარიზაციის კოდთან ერთად ეკრა სხვა დაწესებულების ინვენტარიზაციის კოდი. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურმა განიცადა საკადრო ცვლილებები და ამჟამად ამ სამსახურის წარმომადგენლები არ ფლობენ ინფორმაციას უნივერსიტეტში არსებული და დოკუმენტურად ფორმულირებული IT პოლიტიკის დოკუმენტისა და ბიზნესუწყვეტობის გეგმის შესახებ. საინფორმაციო უსაფრთხოების სისტემების მუშაობის საჭიროებას ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის წარმომადგენლები ამ ეტაპზე ვერ ხედავენ და აღნიშნავენ, რომ უსაფრთხოება არ შედის ამ სამსახურის მოვალეობაში. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი კი ძირითადად აგებულია უსაფრთხოების მექანიზმების განხილვაზე და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის საქმიანობის სხვა მიმართულებები მიმოხილული არ არის. შესაბამისად, უსდ-ში შექმნილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ვერ ჩაითვლება დაწესებულების ბიზნესპროცესებს შესაბამისად და ვერ უზრუნველყოფს მათ ეფექტურ განხორციელებას. საინფორმაციო სისტემების ეფექტიანობის შეფასება ამ ეტაპზე არ ყოფილა შესაძლებელი, ვინაიდან აღნიშნული სისტემები სამუშაო პროცესში არ არის. უნივერსიტეტში დასაქმებულთა შეფასებით საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა მათთვის მუდმივად ხელმისაწვდომია. დასაქმებულებს აქვთ კორპორატიული ელექტრომული ფოსტა, რომლითაც ყველა თანამშრომელი არ სარგებლობს. უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ქართულ და ინგლისურ ენებზე განთავსებულია საკმარისად

დიდი მოცულობის ინფორმაცია, თუმცა ბევრი ველი შეუვსებელია, ან შეიცავს მოძველებულ ინფორმაციას. სამართლებრივი აქტების სახელწოდებები იძებნება ინგლისურად, თუმცა საკუთრივ აქტები ქართულ ენაზეა. პროგრამების შესახებ ინფორმაცია ინგლისურ ენაზე მოძველებულია და არ ასახავს ბოლოდროინდელ ცვლილებებს პროგრამებში, ქართულ ენაზე კი პროგრამების აღწერილობა არ იძებნება. როგორც ჩანს, ინფორმაციის განახლება დროულად ვერ ხდება. ამასთან ერთად, სხვადასხვა ველები სრულად შევსებული არ არის, მაგალითად ინგლისურენოვან ვერსიაში არასრულად არის შევსებული კვლევითი საქმიანობის ნაწილი. ვებ-გვერდზე არ არის ინფორმაცია აკადემიური, ადმინისტრაციული, მოწვეული პერსონალის შესახებ. ამასთან აღსანიშნავია, რომ ვებ-გვერდის გაფორმება არ შეესაბამება უნივერსიტეტის რეალობას. ამასთანავე, ვებ-გვერდის მოძიება საძიებო სისტემებით მარტივად არ ხდება, დომეინი შეიცავს უნივერსიტეტის ძველი დასახელების აბრევიატურას და საჭროებს სპეციფიური სიტყვების გარკვეულ კომბინაციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების დოკუმენტი • ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და • განვითარების პოლიტიკა • ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა • სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2025) • შპს ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა (2019-2022) • ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტისა და • აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • განავითარეთ IT ინფრასტრუქტურა. • დანერგეთ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა. • დანერგეთ სასწავლო პროცესის მართვის სისტემა. • დახვეწეთ ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზა. • უზრუნველყავით, რომ პასუხისმგებელი პირები იცნობდნენ მათზე დაქვემდებარებული ერთეულების მუშაობის პრინციპებს, დებულებებს, დაკავშირებულ დოკუმენტაციას. • უზრუნველყავით ვებ-გვერდზე ინფორმაციის სრული და დროული განახლება ქართულ და ინგლისურ ენებზე. • უზრუნველყავით, რომ ვებ-გვერდი ასახავდეს უნივერსიტეტის რეალურ მდგომარეო
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.4 ფინანსური რესურსი
○ უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. ○ უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.

- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ-სთვის მიცემული რეკომენდაციის: „გაზარდეთ ბიბლიოთეკის ბიუჯეტი და დაფინანსება კვლევითი პროგრამებისთვის“ გათვალისწინება ფინანსურ დოკუმენტაციაში ვერ იქნა ნანახი. ფინანსური სამსახურის წარმომადგენელმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკის ბიუჯეტი გაიზარდა, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია დოკუმენტურად ვერ დაადასტურა.

სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე გამოყოფილი თანხა ბიზნეს გეგმაში ასახულია შემდეგნაირად: 2018 წელი- 20 000 ლარი, 2019 წელი -30 000 ლარი, 2020 წელი -50 000 ლარი, 2021 წელი კი 60 000 ლარი. ამავე დროს სამოქმედო გეგმაში (2019-2022) მითითებულია, რომ ამოცანა 3.3. თანახმად, რომლის მიხედვითაც უსდ-მ უნდა უზრუნველყოს კვლევისა და საგანმანათლებლო საქმიანობის ინტეგრირება და კვლევის შედეგები გამოიყენოს საგანმათალბელო საქმიანობის გასაუმჯობესებლად დაგაგემილი ბიუჯეტი წარმოადგენს 70000ლარს. აღნიშნული შეუსაბამობა იწევევ გაუგებრობას, თუმცა თუ გავივალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სამოქმედო გეგმაში უფრო ახალი თარიღება აღნიშნული, გამოდის რომ ბიუჯეტი შემცირებულია ან ტექნიკურ უზუსტობას აქვს ადგილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამოქმედო გეგმა
- ბიზნეს გეგმა
- ინტერვიუს შედეგები
- ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

გაზარდეთ ბიბლიოთეკის ბიუჯეტი და დაფინანსება კვლევითი პროგრამებისთვის

მოიყვანეთ შესაბამისობაში ბიზნეს და სამოქმედო გეგმაში ასახული ბიუჯეტი

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	სტომატოლოგია	ინგლისური	დიპლომირებული სტომატოლოგი	300	ავტორიზებული	19.03.2019 N14
2	სტომატოლოგია	ქართული	დიპლომირებული სტომატოლოგი	300	ავტორიზებული	19.03.2019 N14
3	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია	ინგლისური	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი	240	ავტორიზებული	19.03.2019 N14